

1957/3

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

1957/3



ს. რ. ნ. ე. კ. რ.

№ 2
თებერვალი
1957



ს. ორჯონიძე და ს. კირილი კავკასიის მისადგომებთან

მხატვარი დავით ქუთათელაძე.



(ოფორტი)

პ ი თ ნ ე რ ი



საქართველოს ალკა
ცენტრალური კომიტეტის
შოკვალთვიური
საბავშვო შუკნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი



დავით შამათავა — დასაწყისი გაზაფხულისა (მოთხრობა)	83
კარლო კალაძე — ჩვენი ახალგაზრდობა (ლექსი)	9
თ. ბალაფი — შოთა რუსთაველი (ლექსი, თარგმნა თ. კუპრავეამ)	10
ნ. პლიევი — მომავალი მფრინავი (ლექსი, თარგმნა ნ. კილასონიამ)	11
კაკაზაგი — ბალადა დედასა და შვილზე (თარგმნა შ. ამისულაშვილმა)	11
ვ. კატაევი — ძილი (მოთხრობა, თარგმნა ე. კეჭაყმაძემ)	12
ირ. უზნაძე — ხალხური ხელოვნების ოსტატები (ნარკვევი)	16
ალ. ივარდავა — „მალკას“ თავგადასავალი (ნარკვევი)	19
სამი მეგობარი (წერილი)	21
ნ. კილასონია, თ. სახაროვი — მერვერაზმელები (ნარკვევი)	22
მოსწავლეთა შემოქმედება	26
ზ. შერაზადიშვილი — ფულობანა (ლექსი)	27
ჯ. ენუქიძე — მამაცი პიონერები (ნარკვევი)	28
ზ. ლევკაშელი — სიტყვის მატყანე	31
მოკლედ ყველაფერზე	32
გასართობი	33
გარეკანის პირველ გვერდზე კ. მახარაძის ილუსტრაცია დ. შამათავას მოთხრობისათვის — „დასაწყისი გაზაფხულისა“. გარეკანის მეორე გვერდზე — „ს. კიროვი და ს. ორჯონიკიძე კავკასიის მისადგომებთან“ — ოფორტი დ. ქუთათელაძისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე „ბაკურიანის პეიზაჟები“ — ლინოგრაფიურები	
ვ. ბელეცკაიასი.	
ყურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, გ. ფოცხიშვილის, გრ. ჩირინაშვილის, ნ. შალიკაშვილის და გ. როინიშვილის მიერ.	

რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, გ. ფოცხიშვილი (სანხატვრო რედაქტორი), ვ. ჭელიძე.

2

თებერვალი
1957

7290

7290

გამოცემის ფურცლები XXXI
საქართველოს ფოტოკავშირის ბიბლიოთეკის მიწოდებული

დასაწყისი გაზაფხულისა



შვიდი წელია რაც ქართულ ლიტერატურას გამოაკლდა ნიჭიერი საბავშვო მწერალი და ჟურნალისტი დავით შამათავა. დ. შამათავას კალამს ეკუთვნის წიგნები: „ნათესავეები“, „ზღვისპირელი ქალიშვილები“, „საბავშვო მოთხრობები“. მისი სადა, ნათელი, ნიჭიერად დაწერილი საბავშვო მოთხრობები და ზღაპრები დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. „დასაწყისი გაზაფხულისა“, რომელსაც ქვემოთ ვებეჭადეთ, მოგვითხრობს საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარებაზე.



იმ წელს თებერვლის მეორე ნახევარში მოვიდა თოვლი. დეკემბერი და იანვარი მზიანი იყო. ტყემალმა ვერ მოითმინა და გაზაფხულს დაასწრო ყვავილის გამოტანა. კონინდარს ფერი მიეცა, ხოლო ბაღჩაში რომელიღაც ბუჩქი წითლად აყვავილდა.

ბოლოს მაინც გაავდა თებერვალი. მთელ კვირას განუწყვეტლივ ჰქროდა ძლიერი ზენა ქარი. გამოკვირებული ხეები ერთიანად დააზრო, ხოლო კონინდარი კვლავ გააყვითლა.

ბაბუა სარიდანი ამბობდა:

— ადამის დროიდან დაწესებულის შეცვლა არ იქნება! ჯერ კიდევ ზამთარია, თებერვალმა უნდა ჰბეროს. ასე გამიგონია ამ ხნის ბერეკაცს: თებერვალი ბერავდაო, მარტი კაბას კერავდაო...

ქარი რომ ჩადგა, საგრძობლად დათბა, საღამოს ნელა, ხვავიანად დაიწყო თოვა. სულ მალე დაიფარა მწაოდაში დაბრუნებულმა სარიდანმა ხელები მოიფშვინტა, ბუხარს მიუშვირა და შვილს დამაჯერებლად უთხრა:

— ამაღამ ფხიზლად იყავი, ბიჭო, ნაშუაღამევს ოდა უნდა გადაითოვლოს. ისეთი პირი უჩანს, დიდი თოვლი მოვა!

— მართლა, ბაბუა, მართლა?! უჰ, რა კარგია! — აღტაცებით ამბობდა პატარა გივი და ფანჯარასთან სიხარულით ხტოდა, ჰაერში მოფარფატე ფართო ფანტელებს რომ უცქეროდა.

— რა ეშველება ადამიანს! — მწუხარესახით ამბობდა ქმრის გვერდით მჯდომი მარიამი, — პარასკევს ვერაფერი გავყიდეთ, სიმინდი არაა! კიდევ რომ გვქონდეს დაფქვა ხომ უნდა? დიდი თოვლი თუ მოვიდა, წისქვილები გაჩერდება, ბავშვები შიმშილით დამეხოცებიან, ჩემს თავს როდი ვჩივი!

— ნუ გეშინია, ქალო, სიმინდსაც ვიშოვნით და პურსაც! — უპასუხა დაფიქრებულმა ბესომ.

— მამა იშოვის სიმინდს! — თქვა ნაღვლიანად პატარა ქეთინომ და დედას ჩაეხუტა.

* * *

დილით წელამდე თოვლი იდო. ქუჩებში სიჩუმე იყო. პავლე ჭითას სავაჭრო დუქნებთან მიეტლევების ოხუნჯობა არ ისმოდა. ასეთ ამინდში ეტლი ვეღარ გაივლიდა. ახლადამდგარი შეგირდები ხის ნიჩბებით დუქნების შესავალს სწმენდნენ.

— პავლე ჭითაა, უუ! — ყვიროდა გიგო მემარილე, — მოკვდი?! შე ოჯახდასაქცევო, გამოდი გარეთ!

— რა გაყვირებს, კაცო ამ გათენებამდე! — მოლაპარაკობდა მსუქანი კაცი და დუქნის წინ ცოცხით მოხვეტავდა თოვლს. პავლე წითური იყო, ჭორფლიანი, და ბაზრობაზე სავაჭროდ ჩამოსულმა მეგრელებმა „ჭითა“ შეარქვეს. ერთ ხანს ეუცხოვა ეს სახელი, ერთხელ მჭედლების უბანში ჩხუბიც კი მოუვიდა ამის გამო — სულ დაიფრინა ხალხი. ბოლოს დათა მჭედელმა ერთი მაგრად უთავაზა, ტიკივით დააგლო ძირს, ფეხი მუცელზე დააჭირა, მოკუმშული მუშტი აჩვენა და ყურში ჩასძახა:

— ხმა არ ამოიღო, თორემ... მართლა, შე წითურო ეშმაკო!

პავლემ პოლიციაში იჩივლა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს ყური შეაჩვია მეტსახელს...

— გაიგე, კაცო?! — დაეკითხა გიგო პავლეს, — გუშინ ფოილოსთან დიდი შეტაკება ყოფილა. გვარდიელები ამბობენ, დიდი სახელი ნახა ჩვენმა ჯარმაო!

— ისემც ღმერთი უშველით! — გულნაკლულად თქვა პავლემ, ბეწვიანი ქუდი ჩამოიფხატა და კოტიტა თითები მოიფშვინტა.

— ჰოდა, ღმერთმა თუ არ უშველა, ჩემო ძმაო, გათენდა აღდგომა იმ ყაჩად ბესო გაგნიძისა და თეოფილე ძიგავასთვის და ესაა სწორედ!

— არა, არა, ჩემო გიგო, სახლს დავწვავ, დუქანს ზედ მივაყოლებ და ბოლშევიკებს არაფერს დავუტოვებ... იცი?! — აქ ხმა დაუდაბლა პავლემ, ხელი დასავლეთისაკენ გაიშვირა და განაგრძო, — იქიდანაა თურმე იმედი, ხვალ ბათუმში კრეისერებს მოელიანო.

— გავმართულვართ წელში და ეგაა! მაცადოს ერთი იმ გაგნიძემ, დაეთრევა თურმე წისქვილში ყოველდამე და მასავით გუდამშიერებს უქადაგებს...

— ყველა ლატაკი ასეა. გიგომ, პავლემ და ნადარეიშვილებმა წითელკრამიტისა სხლეები როგორ წამოიჭიმესო, და ბრაზით გულზე სკდებიან... მაგათ კისერს მოუგრებს უჩა ბარგათელია...

— ჯანდაბას მაგათი თავი. დღეს ხომ იცი, ეკლესიაში ლოცვაა ჩვენი ჯარისთვის, არ დააკლდე, როგორც კი დარეკონ წმიდა გიორგის ეკლესიის ზარი, დუქანი დაკეტე, ბიჭებიც წამოვიდნენ...

— მერე და ვითომ ვე უშველის?! —

— კარგი, თუ ძმა ხარ! — სერიოზული სახე მიიღო გიგომ, — ჩვენ ხალხს მაგალითი უნდა ვუჩვენოთ. ღმერთი ჩვენს მხარეზეა და ქვეყანა-თქო, თორემ ბესო და მისი ამქრები ხვალვე ააყაყანებენ სოფელს!

— მაშ ასეა?... კარგი, კარგი! — დაფიქრებით თქვა პავლემ.
მჭედლების უბნიდან ეუვნების უღარუნი მოისმა. ხონში განთქმულ მეეტლეს, დიმიტრი ქაცარავას შესანიშნავი მარხილი გაემართა, გათქვირული ცხენები შიგ შეება და მთავარ ქუჩაზე მიაჭენებდა, ბავშვები უვილ-ხივლით მოსდევდნენ. მედუქნეები ქუჩაზე გამოფინენ. მიკიტანი ლენტორ ადამია სიმსუქნისაგან ძლივს სუნთქავდა და ხმამაღლა ყვიროდა:

— ყოჩაღ, დიმიტრი, ყოჩაღ! კარგი მარხილი გაგიმართავს!

დუქნის წინ მდგარმა გიგომ მეჩხერ წვერზე ხელი ჩამოისვა და პავლეს წასჩურჩულა:

— დიდი ოხერი კაცია ეს მეეტლე, ხომ ხედავ, მარხილში ბესო გაგნიძე უჯის, ძალიან დამეგობრდნენ. დათა მჭედელიც ამქრად გაიხადეს და ის ბერიკაციც — ლუკა ქაცარავა — ქვისმთლელი, ფუ... — გააფურთხა გიგომ და გესლიანად დაამთავრა, — დაიქცეს თქვენი აშენებული ქვეყანა!

— ეჰ, — ჩემი საქმე უნდა იყოს... ორი არშინი თოკი და მაღალი ხე!

— ეგეც იქნება... გუშინდამ ჩემი ქალის ქორწილში უჩა ბარგათელიამ საიდუმლოდ მითხრა: ბესოს და თეოფილეს ხვალ-ზეგ მოვუგრეს კისერსო...

ბირუს ბოლოს წივილ-კივილი ატყდა. ახალგაზრდები თოვლის გუნდებს უშენდნენ გოგონებს. ყველაზე უკან წაბლისფერნაწ ავებანი გოგონა მოდიოდა. პავლემ თოვლი დააგუნდავა და ესროლა. გოგონა შეკრთა, შეჩერდა და ზიზღით შეხედა ვაჭარს.

— დაგეცეს მეხი! საზიზღარო, არ გრცხვენია ამხელა კაცს?!

გოგონას სიბრაზეზე ვაჭარი ურცხვად იცინოდა, ახალ გუნდას აგუნდავებდა და ჩახლჩილი ხმით დღინებდა:

„პატარა გოგო, კირიმე შენი“...

— მოკვდი ბარემ, შე მართლა ჭითა! — იწყველ-ბოდა გოგონა და გარბოდა თოვლში.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — ქაქანით გამოგორდა ქუჩაში მიკიტანი ლენტორა, თოვლი დააგუნდავა და პავლეს ზედ ყურისძირში გაართყა.

— მომკლა ამ ოხერმა, მომკლა!.. — იყვირა ჭითამ და საპასუხოდ მოემზადა. შეიქნა გუნდაობა, ხალხი გამოფინა ქუჩაში.

— ყოჩაღ, ჭითა! — აქეზებდა ერთი წრე პავლეს.

— რა ყოფილა ლენტორა! — ყვიროდნენ მიკიტნის მომხრენი.

ფართლის მოვაჭრენი, სირაჯები და მემარილენი პავლეს მხარეზე დადგნენ.

— არიქა, მოკლეს ლენტორა! — წამოიძახა ვიღაცამ.

ყასბებმა, ხარაზებმა, თერძებმა და დალაქებმა უმალ მიკიტნის მხარე დაიჭირეს.

ატყდა ყიჟინა, ჰაერში თოვლის მტვერი ირეოდა.



— ნუ გეშინია, ქალო, სიმინდსაც ვიშოვნით და პურსაც! — უპასუხა დაფიქრებულმა ბესომ.

ქუჩაში ვერ დაეტია ხალხი; ბოლოს ყაფნის გაშლილ მოედანს მიაშურეს. ძალი პატრონს ვერ სცნობდა. მჭედელს მიკიტანი დაედო ქვეშ და სცემდა, მეეტლეს — თერძი, ხარაზს — დალაქი...

— ოჰოჰო, ვენაცვალე ჩემს მარჯვენას, მოგზე-და?! — ყვიროდა გახარებული ილარიონ მეპურე და გაქცეულ გიგო მემარილეს მისდევდა.

მალე მთელი ბაზრის ხალხი შეგროვდა. წინა-დღით ბაზრობაზე ჩამოსული მეგრელები და ლეჩხუმელები სეირის საყურებლად გარს შემორტყ-მოდნენ მოგუნდავეებს.

— შენი ჭირიმე, რა ამბავია, არ დახოცონ ერთ-მანეთი! — მძიმედ თქვა ლეჩხუმელმა და ახლოს მიიწია გასაყიდად ჩამოტანილ ზამთრის ლოყა-წითელი ვაშლებით სავსე ძარისაკენ.

— თავში ქვა უხლიათ! აქეთ მოიწი, ჯიმა! — ურჩია ლეჩხუმელს მეგრელებმა და ყაფნის შუა-გულში მდგარ სასწორს მიაშურა ბარგით.

ამ აღიქოთში მოულოდნელად წმიდა გიორგის ეკლესიიდან დიდი ზარის ხმა მოისმა. მალე მას წვრილი ზარებიც აჰყვნენ. ვიღაცა ხმაშეწყობით რეკავდა ისე, როგორც აღდგომის დღეებში იცო-დნენ ხოლმე.

მოგუნდავენი შეაჩერა ზარის ხმამ. ყველა გა-მოერკვა. სახეაწითლებული, თოვლში ამოგანგ-ლული, ხელებგათოშილი მოქალაქენი ერთმანეთს შეაჩერდნენ.

— ბიჭო, ჯოტორა! რა ამბავია ამ ორშაბათს, ასე რომ მოუხშირეს ზარების რეკვას?! — ეკით-ხებოდა ლუკა ახალგაზრდას.

— აბა რა ვიცი, ბაბუ!

ყაფანში, სასწორთან მდგარი ბესო გაგნიძე და-თა მჭედელს მიუბრუნდა და ხმადაბლა უთხრა:

— ლოცვა იქნება ჯარისათვის, წყალწალღებული ხავსს ეკიდებოდაო...

— ჯანდაბას მაგათი თავი! — ჩვეულებრივი სიღინ-ჯით თქვა მჭედელმა.

ყაფნის მოედანზე გვარდიელებმა შემოაჯირითეს ცხენები.

— აბა, მალე! ყველანი ეკლესიაში!

ხალხი დაიძრა წმიდა გიორგის ეკლესიისკენ.

ბესო გაგნიძემ და მჭედელმა ყაფნიდან პირდაპირ მჭედელთა უბანში გაუხვიეს. ყველაფერი ეს მხედველო-ბიდან არ გამოჰპარვია გიგო მემარილეს.

გადაღებას კი არ აპირებდა, ისევ თოვდა ბარაქიანად და შრიალებდა თოვლის ფანტელი.

* * *

მოსუც სარიდანსა და ბავშვებს ჩასძინებოდათ. მო-გიზგიზე ბუხართან მარიამს სუფრა გაეშალა. ირგვლივ სტუმრები შემოსხდომოდნენ. ბესო, როგორც მასპინ-ძელი, სუფრის თავში იჯდა; მარჯვნივ დათა მჭედელი უჯდა, მარცხნივ — თეოფილე ძიგავა. ცეცხლის მხარეს



— მოკვდი ბარემ, შე მართლა ჭითა! — იწყე-ლებოდა გოგონა და გარ-ბოდა თოვლში.

სუფრას მარიამი და ქვისმთელი ლუკა ქაცარავა უხსდნენ.

სტუმრებს ჯამებით ედგათ ლობიო. სუფრის შუა-გულში თხელ კეცებზე გამომცხვარი ცხელ-ცხელი ქა-დეები ელაგა. ბესოს გვერდით ედგა ოჯალეშით სავსე პირმომტვრეული მოზრდილი დოქი. სადღეგრძელოები მოეთავებინათ. ბესო ლაპარაკობდა.

— ახლა ჩვენთვის ყველაფერი გასაგებია... — წუთით შეჩერდა ბესო და ყური მიუგდო: ოდა ჭრიალებდა, გარეთ ქარბუქი იყო, — მენშევიკები ხალხში ყოველგვარ ჭორს ავრცელებენ, სიძულვილს თესავენ. ჩვენ უნდა განვუმარტოთ ხალხს სინამდვილე. ეს ჩვენი მოვალეო-ბაა, ამხანაგებო!

— მართალია, — დაიწყო მჭედელმა, — შეშალეს ხალხი... ლუკა ნალბანდი ჩიოდა: ცოლ-შვილი მეღუპება, თავს არ ვჩივიო. პავლე ჭითას ჭორს გაუგეყებია; დავამ-შვიდე, დავაჯერე, ბოლშევიკებია ხალხის მხსნელი-მეთ-ქი, ძალიან გაეხარდა...

— ნეტავი მშვიდობა იქნებოდეს, შენი ჭირიმე!... — ჩაურთო მოწყენილმა მარიამმა.

— ნუ გეშინია, ჩემო რძალო, იქნება, სულ მალე იქნება! — თქვა იმედიანად მჭედელმა.

შემდეგ დაბალი ხმით მრავალყამიერი წამოიწყო; მას სხვებიც აჰყვნენ. პატარა გვიის გამოედვიდა, სტუმრებს შეხედა, მაგრამ ისევ ძილმა დასძლია და გვერდი იბრუნა.

ბესომ ჭიშკრამდე მიაცილა სტუმრები. თემშარაზე ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ახლადმოსული თოვლი ჭირალებდა ფეხქვეშ და სადღაც შორიდან ყრულ მოისმოდა ძაღლის ყეფა.

* * *

განთიადი ჯერ კიდევ შორს იყო, მარიამს რომ გამოედვიდა. წესად ჰქონდა ადრე ადგომა, ოჯახზე ფიქრი არ ასვენებდა. ოდნავ რომ ინათებდა, ბუხარში ცეცხლს დაანთებდა, საქონელსა და ფრინველს მიხედავდა და მერე დაბრუნდებოდა ოღაში.

მარიამი ახლაც ბავშვებზე ფიქრობდა. აივანზე ვიღაც შემოვიდა, როგორც ეტყობოდა, რამდენიმე კაცი შემოიპყვა თან.

— კარი გააღეთ! — მოისმა მკაცრი ხმა.

მარიამი შეკრთა, ბესო გააღვიდა და ყურში წახურჩულა: — უჩა უნდა იყოს, ბარგათელია! რა უნდა ნეტავ იმ წყეულს?!

— გაუღე კარი!

მარიამმა კარი გააღო. ოთახში უჩა ბარგათელია და გვარდიელები შემოვიდნენ. ბავშვებს გამოედვიდათ, გივი ფეხზე წამოხტა.

— აბრძანდით, ვაჟბატონო, დაპატიმრებული ხართ! — მკაცრად წარმოთქვა უჩამ, — გაჩხრიკეთ სახლი! — მიუბრუნდა გვარდიელებს.

მარიამი სულ ერთიანად კანკალებდა.

— მამაშვილობას, უჩა, ღმერთი იწამე, — ეხვეწებოდა მოხუცი სარიდანი, — მეზობელი ხარ, ასეთ რამეს რად კადრულობ. ჩვენს ოჯახს ციხე და სასამართლო თავის დღეში არ მოსწრებია, რა დააშავა ჩემმა ვაჟმა ასეთი?!

— გეყოფა, ბებრო! — უკმეხად შეაწყვეტინა გვარდიელმა მოხუცს და თავისიანებს მიმართა: — რას უდგებართ, დაიწყეთ!

მარიამი ბუხარს მიჰყრდნობოდა, კანკალებდა; ქეთინო წელზე მოხვეოდა შეშინებულ დედას. გივი არ ისვენებდა, ფეხებში ებლანდებოდა გვარდიელებს და დაუფარავი ზიზღით შესცქეროდა უჩა ბარგათელიას გამხდარ სახეს, კაუჭა ცხვირს და მტაცებელი ფრინველისმაგვარ ამღვრეულ თვალებს.

— შვილო, რად დამღუპე, რა ჩაიდინე ასეთი? — ეხვეოდა მოხუცი შვილს. ბესოს მრისხანედ შეეყარა წარბი.

— ვაჟბატონო, სწავლული გახდი?! — თქვა უჩამ დაცინვით და მუთაქის ქვემოდან რამდენიმე აკრძალული წიგნი გამოიღო.

— ჩაწერე!.. — უბრძანა მდივანს, რომელიც დამფრახალი თვალებით მისჩერებოდა გაავებულ უფროსს.

— აღმოჩნდა სურათი! — უკარნახა უფროსმა.

— ვისი, ბატონო უფროსო? — შეეკითხა შეშინებული ჩია გვარდიელი.

— ლე-ნი-ნის! — დამარცვლა ბარგათელიამ. შეშინებული მდივანი უხმოდ წერდა.

ინათა. ფანჯარაში თოვლით დაბურულმა ვაშლის ხემ ტოტები დაიბერტყა. ცვივოდა თოვლის ქულები და აეთერი მტვერი ირეოდა ჰაერში.

— გამიძხესი! — ჰკრა ხელი ბარგათელიამ ბესოს.

— ბესო, გენაცვალე, თბილად ჩაიცვი, გაცივდები! — მისძახოდა თვალცრემლიანი ცოლი ბესოს და ფარაჯას აწვდიდა.

— დაიკარგე, დედაკაცო! — უყვირა ბარგათელიამ. მარიამი აივანის ბოძს მიეყრდნო და ტირილი აუვარდა.

— საძაგელი კაცი! საძაგელი! — მიაძახა გივიმ გვარდიელს. ბარგათელია მიტრიალდა და მათრახის ტარი ჩაარტყა ბავშვს. ბავშვი ატირდა.

— მხეცი ხარ, ბავშვთან რა საქმე გაქვს! — მიუბრუნდა ბესო ბარგათელიას.

ჭიშკართან ისევ მოესმა ბესოს ბავშვის ტირილი, მიიხედა. თოვლს დაეხურა მისი კარ-მიდამო. სადღაც სურროში შაშვი აჭახჭახდა. გივი კიბეზე ჩამომჯდარიყო და ქვითინებდა, მარიამი კი აივანის ბოძს მიჰყრდნობოდა და უმწეო, შეშინებული თვალებით მისჩერებოდა ქმარს.

იმ დამეს ბარგათელიამ თეოფილე ძიგავა და ქვისმთელი ლუკა ქაცარავაც დააპატიმრა.

მჭედელი შინ ვერ იპოვეს.

* * *

უჩა ბარგათელიამ ქვეყანა შესძრა: კუხსა და გუბში კაცები აფრინა, მათხოჯსა და ნახაულებში საიმედო გვარდიელები დაგზავნა, უთენია თვითონ მოახტა ყორანა ულაყს და ივანდიდსა და ქარჩხაბში ყველა არასაიმედო ოჯახს მიუხტა. საღამოთი დაბრუნდა უკან — არაფერი გამოვიდა, ვერ გაიგო, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ დათა მჭედელი და მეეტლე ქაცარავა. მესამედ დაკითხა ბესო გაგნიძე. იგი ჩუმად იდგა — გოროში და შუბლმეჭმეხვნილი. ყოველ კითხვაზე ერთსა და იგივე პასუხს იძლეოდა:

— არ ვიცი! არ მინახავს!

— ჩაგაძაღლებ! — უყვიროდა ბარგათელია.

ჯამუხი, ენაბლუ და წყნარი თეოფილე აუღელვებლად იძლეოდა ჩვენებას:

— მართალია, მჭედელი ჩემი ძმაკაცია, მაგრამ ახლა სად არის, არ ვიცი!

მოხუც ქვისმთელითან ვერაფერი გააწყო ბარგათელიამ. დინჯი, თეთრწვერა მოხუცი შეკითხვებზე მწყურაღად გახედავდა, წვერს ხმელი თითებით ჩაივარცხნიდა და თავისქნევით იტყოდა:

— დაიქცეს შენი დაბადების დღე! მოხუცებს ასე ეპყრობიან?!

ბოლოს სულ ერთიანად გაავდა ბარგათელია მოხუცის პასუხზე და ბრძანა, სამ დღეს მშიერ-მწყურვალი ამყოფეთო.



ქუჩებში სიწყნარე იყო. მხოლოდ დენტორ ადამიას სამიკიტნოში ჭყვიტინებდა არღანი. ჭვარტლიანი, გამურული ფარნების მკრთალ სინათლეზე თოვლის ფანტელები ირეოდა. სდუმდა ყაფანი. ხარაზებისა და მჭედლეების უბანში ამ დროს ძალღიჯ არ გაიჭაჭანებდა. აფთიქის კვარტალში, კუჭავას საბილიარდოს წინ, ეტლი იდგა. ქურქში განვეული მეეტლე კოფოზე იჯდა, თვლები და და ვილაცას ელოდებოდა.

საბილიარდო პაპიროსის კვამლს გაებურა. შუაში დაკიდებული, მოზრდილი, ქაღალდაწებებული ლამპა ანათებდა. ტევა აღარ იყო. ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზემდგომარე მისჩერებოდა მოთამაშებებს.

— კუთხეში რომ შარია, ნაღია! — უჩრევდა ვილაც ერთ მათგანს.

— შუას დაუმიწე, ჩემს ბედზე! — ეხვეწებოდა პეტრე დალაქი ცნობილ მებუხრე ხობუას და ადგილზე ვერ ისვენებდა.

დინჯი და აუღელვებელი ხობუა წყნარად უვლიდა კიით ხელში მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას; შეჩერდებოდა და კვერცხისგულისფერ შარებს განედავდა. დაიხრებოდა, თვალს მოჭუტავდა, შემდეგ კიის ცარცს წაუსვამდა, საბილიარდო მაგიდას ოსტატურად გადაწვებოდა და... ნიშანი უტყუარი იყო.

ახლაც დინჯად უტრიალებდა ხობუა შარებს. გადაწვა მაგიდას, კიი მოიმარჯვა, გაარტყა და შარი ბადეში მოექცა.

— გენაცვალე სულში! — ვერ დამალა აღტაცება დალაქმა.

— რა მოგდის, კაცო, სერაფიონ! — ნიშნისმოგებით თქვა ხარაზმა, — რა შეიქნა ეს მებუხრე, სულ მაგან უნდა მოიგოს?!

— რას იზამ, ძმაო, ცუდ ხელზე ვარ დღეს, — მიუგო სერაფიონმა ხარაზს.

ჩია, ავთვალე სერაფიონი არ უყვარდათ ქალაქში. დილით ხელოვანს რომ შეხვდებოდა, იმ დღეს მუშაობის ხასიათი ეკარგებოდა ოსტატს; ვაჭრებიც ერიდებოდნენ მისი დუქნის წინ გავლას, არ შეგვხვდესო. უკანასკნელად ენატანიაობასაც აბრალებდნენ. არავინ იცოდა სინამდვილე, ოღონდ სერაფიონის ბამბის საწვეწ ფაბრიკაში რამდენჯერმე ნახეს უჩა ბარგათელია. ეს კი დაბაში არ ექაშნიკათ.

— რა უნდა, აქაც არ გვასვენებს! — უჩურჩულა დალაქმა ხარაზს.

— ჯანდაბას მაგის თავი!

სერაფიონი ახლა უკვე ხობუასა და მეპურე ქვათაძის თამაშს ადევნებდა თვალს.

— კარები მოხურე, ბიძია! — მიაძახა სერაფიონმა საბილიარდოში შემოსულ პატარა ბიჭს.

— ბიძია ილარიონი სადაა? — იკითხა ბავშვმა, — ბოსელი დაანგრია თოვლმა და ხარები კინდამ დახოცა.

ილარიონ ხობუა დინჯად მიტრიალდა, თითქოს მას არც კი ეხებოდა ეს, კიი მაგიდაზე დადო, ქუდი ჩამოიფხატა, განაგრძეო, უთხრა დალაქს, და კარები გაიხურა.

— სად არიან? — ჭკითხა ხმადაბლა ბიჭს.
— წმიდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ!

ბავშვი ძლივს მიაბიჯებდა თოვლში. ბუთავდა აქა-იქ სინათლე.

სამრეკლოს ქვეშ, ბნელში, მებუხრემ ქვებზე ჩამომსხდარი მჭედელი და დიმიტრი მეეტლე გაარჩია.

— როგორ ხართ, ძმებო? — იკითხა მოსულმა.

— რას იზამ, სად გვილამდება, იქ გვითენდება! — მიუგო მჭედელმა.

— დიმიტრი, შენი ცხენები წაიყვანეს!

— გავიგე! — თქვა მეეტლემ.

— ბარგათელია ბესოს, თეოფილესა და ოსტატს დახვრეტას უპირებსო, თუ თქვენი კვალი ვერ აღმოაჩინა.

ერთ ხანს დუმილი ჩამოვარდა, შემდეგ მჭედელმა დაიწყო:

— უკმაყოფილება იზრდება. იარაღი გვჭირდება. დაპატიმრებული ამხანაგები შველას მოელიან. ყოველდამჭალაში უნდა ვიყარაულოთ; თუ დასახვრეტად გაიმეტებს ბარგათელია, მზად უნდა ვიყოთ!

დიდხანს იჩურჩულეს, ადგენდნენ და ისევ შლიდნენ გეგმებს. ბოლოს შეთანხმდნენ ყველაფერში.

— ამით დავამთავროთ!

ჯერ ბავშვი გამოუშვა მჭედელმა სამრეკლოდან. არავინ ჩანდა. ასეთ ამინდში ეკლესიის გვერდით პატარ ფიცრულში ბებერი მნათეცი ვერ ჩერდებოდა და ვინ მეს მიადგებოდა სოფელში ღამის გასათევად. ამხანაგებს სათითაოდ გამოვიდნენ სამრეკლოდან. კაცის ჭაჭანება აიყო ქუჩებში. დენტორის სამიკიტნოში კვლავ არ ისვენებდა არღანი. ქუჩებში გამურული ფარნების მკრთალ სინათლეზე თოვლის ფიფქები ირეოდა.

ფაცხის შუაგულში ცხენისწყლის ჩამოტანილი უზარმაზარი კუნძი დულუნებდა და საამოდ ნაკვერჩხლებოდა. ტალახით შეღვსილი კედლები ირწეოდა, ქარი აყრიდა თოვლსა და ნამქერს. ჭალებში ქარბუქი მძვინვარებდა.

— ნამდვილად იქცევა ქვეყანა! — ჩურჩულებდა ბაბუა მურზაყანი, — ოცი წელიწადია ბორანზე ვმუშაობ და ასეთი ღვთისრისხვა ღამე არ მახსოვს, შვილებო!

— მართლა, რა გულსაკლავად უსტვენს ამაღამ ქარი, ძალი არ გაიგდება გარეთ! — თქვა მჭედელმა.

— ეგებ ალგაოს დედამიწიდან უწმინდურება! — ჩილაპარაკა მეეტლემ და მუგუშალი შეუკეთა კუნძს.

— ქარბუქი მართო ვერ ადგვის, ბაბუა, უწმინდურებას, — თქვა მოხუცმა, — იქროლებს, ისტვენს ამ ცხენისწყლის ჭალებში და ისევ ჩადგება. ქვეყანას უტუხს ლაშქარი უნდა. უტუხს, იმ ცხონებულს, კლდის გული ჰქონდა და რკინის მკლავი. ცამეტი წლის ვიყავი, მეამბოხებებს რომ ავეკიდე. ჰე, რა კარგია ახალგაზრდობა! ვიღრე მაგრად არ დამაპანდურეს, სახლში არ წამოვედი!

მოსუცი გაყუჩდა. ბორნის მავთულები ზუზუნებდნენ, სტვენდა ქარი.

— ხმა ჩაიწყვიტე, მოხუცო, რასაც ხედავ არავის უაბ-
ბო, თორემ... — გაიხმა ღამეში მუქარა და გინება, მო-
ხუცმა კარავს მიაშურა.

თავჩაღუნული მოდიოდნენ წინ. ეტყობოდა სამივეს ხელე-
ბი ჰქონდა გაკრული. ნელა მოყვებოდნენ უკან ცხენოსნე-
ბი. ფაცხას რომ გაუთანას-
წორდნენ, თოფი გავარდა. ვი-
ლაც ცხენიდან გადმოხტა.

სროლა რამდენჯერმე გან-
მეორდა. ცხენები დაფრთხნენ.
გვიან მოიხმა საპასუხო სრო-
ლა. მერე კი ყველაფერი მიწ-
ყნარდა.

პირველად მჭედელი გამო-
ვიდა საფარიდან; რომელიღაც
თოვლში წაქცეულს ხელი დას-
ტაცა და წამოაყენა.

— ბესო, შენ ხარ?!



— ამირანი გაგიგონიათ?
ამირანი?! ღმერთებს ცეცხლი
რომ მოსტაცა, — დაეკითხა
მოხუცი სტუმრებს, — ჰოდა,
თუ გაგიგონიათ, რისთვის მია-
ჯაჭვებს კლდეზე?! ცეცხლი
რად მიუტანე ხალხსო! მუდამ
იყო თურმე ქვეყანაზე ბორო-
ტება. კეთილი და ბოროტი
ომობდნენ მუდამ და ომს არ
ჰქონდა დასასრული.

— მართალი ხარ, ბაბუა მურზაყანს! —
დაიწყო მჭედელმა, — დღემდე ასე იყო: იბ-
რძოდა კეთილი და ბოროტი. ბევრჯერ
იმარჯვებდა ბოროტი. დღეიდან ასე იქნება:
ბოროტს სამუდამოდ დასძლევს კეთილი.

— ნეტავი ასე იყოს, ბაბუა. ჯერ კი, აი,
პარასკევს ნავოლაღევიდან მოვარდა უჩა
ბარგათელია და კინალამ მომკლა. შემჩნეუ-
ლი პირები არ გაატარო — მცემა. ესაა
სამართალი?! ხალხს ქვეყნად სიარულს უკ-
რძალავენ!..

— რას იზამ, მაგასაც მოედება ბოლო!.. —
წაიბურღლუნა კუთხეში ვილაცამ.

— მებორნეე!.. — აყვირდა ვილაც ღამე-
ში.

— ვინ არის ეს ოჯახქორი, ამ ქარბუქში რამ გამოიყ-
ვანა გარეთ!

შეწუხდა მოხუცი, ამბავი რომ შეაწყვეტინეს; გარეთ
გავიდა. კარებიდან ქარი შემოიჭრა, ფაცხაში დატრიალ-
და და მუგუშალი ააბოლა.

— ბარგათელიას ხმაა!.. — თქვა მჭედელმა.

მეგობრები წამოიშალნენ, სათითაოდ გამოიკრიფნენ
გარეთ. ძლიერ დაეკლო ცხენისწყალს, მაგრამ მაინც
ჩვეულებრივად ხმაურობდა.

ბორანი მძიმედ მოჭრიალებდა ნაპირისაკენ. თოვლის
სინათლეზე მჭედელმა ბორანზე სამი ცხენი და რამდე-
ნიმე კაცი გაარჩია. წყნარად გადმოვიდნენ ნაპირზე.



თავჩაღუნული მოდიოდნენ წინ. ეტყობოდა სამივეს
ხელები ჰქონდა გაკრული. ნელა მოყვებოდნენ უკან
ცხენოსნები.

— თეოფილე!
— ბიძია ლუკა!

ცხენისწყალი ღმუოდა. გაავებული ქარბუქი კვლავ სტვენდა თოვლით დაფარულ ჭალაში.

* * *

ამინდი შეიცვალა, გამოიღარა, თებერვალმა კრიალა ცა აჩვენა ქვეყანას. წამოვიდა ღარში თოვლის წყალი. მთელი ღამე წვეთავდა ლაფაროში, და მიდიოდა ჭირვეული ზამთარი.

იმ დღეს ნამდვილი გაზაფხულის ამინდი დადგა. სკოლებში სწავლა არ იყო, ქუჩები სავსე იყო ახლგაზრდობით. ქუჩის მარცხნივ და მარჯვნივ, სარწყავ არხებთან, უამრავი ხალხი ირეოდა.

საყვარელი ქმრის ცოცხლივ დაკარგვას მიესუსტებინა მარინე. სახე სულ გაფერმკრთალებოდა. დიდრონი, ლამაზი თვალბის უპეები ამოლურჯებოდა დარდითა და სევდით. ქეთინო და პატარა გივი წუთით არ შორდებოდნენ მწუხარე დედას — ახლაც გვერდში უდგნენ. არავინ იცოდა, სად გადაიკარგნენ ბესო და მისი ამხანაგები. ამბობდნენ: პატიმრობიდან გაქცევას აპირებდნენ და მოჰკლესო. მნახველსაც ასახელებდნენ, მაგრამ მარინეს და მოხუცი ოსტატის მეუღლეს ამის თქმას ვერავინ უბედავდა.

ბოლოს რაღაც ცუდ სიზმრებს ხედავდა მარინე და ეს კიდევ უფრო უწამლავდა სიცოცხლეს.

ათი საათი იქნებოდა, სასულე ორკესტრის ხმა რომ მოისმა.

— მოდიან, მოდიან! — ყვიროდნენ პატარები.

მშვიდად, ლამაზად მოაბიჯებდნენ თავაწეული ცხენები. მხედრები მარჯვნივ და მარცხნივ მოწეიმე ხალხს

ესალმებოდნენ. გოგო-ბიჭები მხიარული ყვირო-ხივილით მოსდევდნენ ქუჩებში წითელარმიელებს.

მთავარ ქუჩაზე რომ გამოვიდნენ, სიხარული კიდევ მეტად მოედო ხალხს. ხალხმა იცნო თავისიანები. წაბლისფერ ულაყზე მჯდომი, წითელარმიელის ტანისამოსში გამოწყობილი ბესო გაგნიძე მხიარულად ესალმებოდა მეზობლებს, ნაცნობებსა და მოკეთებებს. მესამე ოცეულში წინ თეოფილე ძიგავა და მჭედელი მხარდამხარ მოჰყვებოდნენ რომელიღაც წითელ მეთაურს, გზადაგზა ესაუბრებოდნენ, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ და ყველას უღიმოდნენ.

ხალხი შუა ქუჩაში გადავიდა, როცა მოხუცი ქვის მთელი დაინახეს. ოსტატი სიხარულით ცრემლს ღვრავდა, სათითაოდ ჰკოცნიდა ყველას და მეტი მღელვარები საგან რაღაცას ბუტბუტებდა.

* * *

სადამოს დაბაში, მთავარი შენობის შესავალ კარებს ზემოთ ვილაცას ძმები ნადარეიშვილების საბაკალეო სავაქროს აბრა გადაებრუნებინა და ცარციოთ მრგვალი ასოებით მიეწერა:

„რ ე ვ კ რ მ ი“


ჯერჯერობით ბევრმა არ იცოდა რას ნიშნავდა ეს წარწერა. შენობაში მჭედლები, ბესო გაგნიძე და ძიგავა უბნის წარმომადგენელ გლეხებთან ერთად ისხდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ და საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდნენ.

თბილი ღამე იყო. ცა ვარსკვლავებით მოიქედა. განთიადამდე წვეთავდა ლაფაროში თოვლის წყალი.

გაზაფხულმა სძლია ჭირვეულ ზამთარს...




ჩვენი ახალგაზრდობა




ვინც მომავალ დღეების
შუქმა გაახალისა,—
მას ხომ სუნთქვაც ახარებს
გაზაფხულის ქარისა!
ციდან ვისაც ხმა ესმის
შორი ელვა-ქუხილის,
მას დათოვლილ მიწიდან
ყოჩივარდაც უდიმის!



მზე ამოდის ზეიმით,
ზამთრის აღსასრულია,—
თოვლქვეშ უკვე წყაროთა
სწრაფი წკარაწყურია!






ვისაც გულით კეთილით
უყვარს ჩვენი ქვეყანა
და თებერვლის სუსხივით
მტერი მოსპო მკვებარა,—
აღისფერი აღმების
ცად ამართულ ფრთებითა
იმას მივესალმებით
საქართველოს მთებიდან!



ვისაც ლაღი გული აქვს,
მტრობა არა სწყურია,—
ჩვენი ახალგაზრდობა—
მისი გაზაფხულია!

ქარლო ქალაქი



გოგამოსეთის პოეტები



მალე თბილისში გაიმართება სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადი. დედაქალაქის მშრომელები გაეცნობიან მოძვე სამხრეთ ოსეთის ხალხის მიღწევებს ხელოვნების ყველა დარგში. ქართველი მკითხველი შეხვდება ოსეთის ცნობილ ბელეტრისტებს, დრამატურგებსა და პოეტებს.

საბჭოთა ოსეთი სამართლიანად ამაყობს თავისი ლიტერატურისა და ხელოვნების მძაფრი აღმავლობით, მისი ოდესური და მხატვრული ზრდით. ვბეჭდავთ ოსური პოეზიის რამდენიმე ნიმუშს.



გოგამალე (კოსტა ხეთაგუროვი) ნახ. ბ. სანაკოვისა.

თავგოლ ბალაჰი

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

შოთა რუსთაველი

დრო უჩინარი ფრთებით მიფრინავს
საუკუნეთა ჭაღარა ნისლში,
შენს შესვენება არ უფიქრია
ოდესმე ციდან მოწყვეტის შიშით.

დრომ უთვალავი შთანთქა დიდება —
ალბათ, ოდესლაც უშუქით მთოვარიც.
მაგრამ დღედაღამ უფრო ბრწყინდება
შოთას სახელი სწორუბოვარი.

ო, შოთავ, ხალხში გაგიდგამს ფესვი,
მისთვის გაუძელ წელითა ქარწვიმებს.
შენ ვეფხას ტყავში ჩაცმული ლექსი
საუკუნეებს გადმოაწვდინე.

შენ მამხნეველნი ცეცხლოვან ომშიც,
როცა მეგონა უკვი გავთავდი...



მე დღესაც ვხვდები საქართველოში
ნესტანს, ტარიელს, ფრიდონს, ავთანდილს...

თუმცა სხვა ხალხი მყავს დედა-მშობლად,
მაინც ჩემად გთვლი, ჩემს მასწავლებლად.
შენგან ვისწავლე ალალი ძმობა,
შენზე ოცნება მიც მაწვალედა...

შვიდასი წელი გაუძელ ქარებს,
შენზე იმღერეს დღესაც მგოსნებმა,
ჩემი ოსეთიც შენ შემაყვარე,
ჩემი სიცოცხლის ასხივოსნებაც.

— შეილო, აკვანში რომ წევხარ ახლა,
და სამშობლოს მზე თავს რომ დაგნათის,
საქართველოში ყოველთვის ნახავ
ნესტანს, ტარიელს, ფრიდონს, ავთანდილს...

თარგმნა ოთარ კუპრავამ

ხარიგონ პლიევი

მ ო მ ა ვ ა ლ ი
მ ფ რ ი ნ ა ვ ი

სკოლისავენ იჩქარის
დღეს აღხასტი ცქრიალა,
უცებ რკინის არწივმა
თავზე გადუგრიალა.
ლაქვარდები გაცურა,
ცაში გაჰკრა ირაო,
ბედნიერი კაცი ხარ,
ნეტავი შენ, მფრინავო!
ხედავ ლამაზ ქალაქებს,
დამშვენებულს ბაღითა;



ქ ა ვ ქ ა ხ ა მ ი

გ ა ლ ა დ ა დ ე დ ა ს ა დ ა შ ვ ი ლ შ ე

ზღვას, ტყესა თუ მდინარეს
გადმოჰყურებ მაღლიდან.
ზოგი მამაცს გეძახის,
ზოგნი არწივს გადრიან.
მზის სხივებსაც შენ ხვდები
ქვეყნად სხვაზე აღრიან.
მაგრამ მაინც არა მშურს,
სხვაა ჩემი ფიქრები —
გაიზრდები, ვისწავლი,
მეც მფრინავი ვიქნები.
ჩემი რკინის არწივიც
ცაში გაჰკრავს ირაოს,
ჩემზეც ასე იტყვიან:
„ნეტავი შენ, მფრინავო!“

თარგმნა ნაზი კილასონიამ



ერთმა ქალმა ემხიანმა,
სხვისი შვილი იშვილა;
ზრუნვას როდი იშურებდა
იშვიათზე იშვიათს.
დედობილი დედასავით
შეუყვარდა შვილობილს,
სიმღერებში ილეოდნენ
დღენი სიამტკბილობის...
ერთხელ, ერთი სოფლისავენ
მიდიოდნენ ორნივე.
გზაზე ჩელტის ხიდი დახვდათ
სიარულით მოღლილებს;
ვერ გაბედა დედობილმა
ხიდზე ბავშვის გაყვანა,
შედგა, მწარე ფიქრს მიეცა
ქალი თვალეზმაყვალა.
ამ დროს გზაზე უცაბედად
ბავშვის დედაც გამოჩნდა,
შუბლზე სევდის ნაკვალევი
დაჩნეოდა ნაოჭად.
მიხვდა დედა მისახვედრელს,
ხელი მისცა პატარას,
ხიდი არც კი შერხეულა,
ისე გადაატარა...
და, როდესაც დედობილიც
გადავიდა გადაღმა,
შვილობილის წრფელმა სიტყვამ
მისი გული დადალა:

— დედი, რატომ შენ კი არ გაქვს
ასე თბილი ხელები,
მითხარ გულში რათა მცივა,
როცა შენ მეფერები?!..
დედობილმა წამწამებზე
შეიმშრალა ცრემლები:
— ვმაღე, ვეღარ დაგიმაღავე,
შენამც შემოგვევლები...
დედაშენი მე კი არა,
შვილო, აი ეგ არი,
მაგრამ ქვეყნად რა დარჩება
მითხარ გაუგებარი...
მე, უშვილო, შვილად გზრდიდი,
გეპყრობოდი დედურად,
მაგრამ ვაი, რომ სხვის შვილად
არვინ დაბადებულა...
გაიზარდე, გენაცვალე,
დედაშენი ახარე,
ვერ იპოვნი სხვას ვერავის
მკვიდრ დედაზე საყვარელს! —
თქვა და მერე მკვიდრმა დედამ
ჩაიხუტა ყმაწვილი,
დაწვზე ობლად ციმციმებდა
ცრემლი ჩამონაწვიმი...
მზე მთებს იქით გადაწვერა —
ფერსაფსე და თაკარა...
დედობილი სხვა გზას გაჰყვა, —
დედას დარჩა პატარა...
თარგმნა შალვა ამისულაშვილმა



პალანგინ ქაგაევი

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

ძ ი ღ ი

ძილი ადამიანის ცხოვრების მესამედია. მაგრამ მეცნიერებას დღემდე ვერ დაუდგენია რა არის იგი.

ძველ ენციკლოპედურ ლექსიკონში ეწერა:

„ამ მდგომარეობის გამომწვევი უახლოესი მიზეზის შესახებ ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ“.

მე მზად ვიყავი დამეხურა სქელი ტომი, რადგან სხვა არაფერი იყო ძილის შესახებ გადაჭრით ნათქვამი, რომ უეცრად, მეზობელ სვეტში, სწორედ ძილზე, რამდენიმე შესანიშნავ ბჭკარს მოვკარი თვალი:

„ხელოვნება ძილს ალეგორიულად ადამიანის სხეულის ფორმით წარმოგვიდგენს, რომელსაც მხრებზე პეპლის ფრთები აქვს, ხელში კი ყაყაჩო უჭირავს“.

ამ გულუბრყვილო, მაგრამ შესანიშნავმა მეტაფორამ ჩემი წარმოდგენები აშალა.

მე მსურს გიამბოთ ერთი განსაცვიფრებელი შემთხვევა ძილისა, რომელიც ღირსია ისტორიამ შემოინახოს.

1919 წლის ოცდაათ ივლისს წითელი არმიის ნაწილებმა ცარიცინი გაწმინდეს და ჩრდილოეთისაკენ იწყეს უკანდახევა. ეს უკანდახევა ორმოცდახუთ დღეს


გრძელდებოდა. ერთადერთი ბრძოლისუნარიანი ძალა, რომელიც სარდლობის განკარგულებაში შედიოდა, იყო სემიონ მიხეილის-ძე ბუდიონის კორპუსი, რომელიც ხუთნახევარ ათას ხმალს ითვლიდა. მოწინააღმდეგის ძალებთან შედარებით ეს რიცხვი მეტად უმნიშვნელო ჩანდა.

მაგრამ ასრულებდა რა საბრძოლო ბრძანებას, ბუდიონი უკანდამხევი არმიის ზურგს იფარავდა და მოწინააღმდეგის ყველა დარტყმას თვითონ იგერიებდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთი ბრძოლა, რომელიც რამდენიმე ათეულ დღესა და ღამეს გაგრძელდა.

ხანმოკლე შესვენებების დროს შეუძლებელი იყო რიგიანად ჭამა, სმა, ძილი, დაბანა.

მეტისმეტად ცხელი ზაფხული იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლები შედარებით ვიწრო მანძილზე — ვოლგასა და დონს შორის წარმოებდა, მებრძოლები ხშირად მთელი დღეობით უწყლოდ რჩებოდნენ. საბრძოლო ვითარება არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აღებული მიმართულებიდან გადაეხვიათ და თუნდაც ნახევარი საათი დაეკარგათ ჭებთან მისასვლელად.



წყალი ბურზე ძვირად ღირდა.
 დრო — წყალზე ძვირად.
 ერთხელ, უკან დახევის დაწყებისას, სამი დღე-ღამის განმავლობაში ოცი შეტევის მოგერიება მოუხდათ.

ოცის!
 განუწყვეტელი შეტაკებების გამო მებრძოლებს ხმა წაერთვათ. ამომშრალი ყელიდან ხმა აღარ ამოდიოდა.

საშინელი სურათი: კავალერიის იერიში, შებმა, ჩხევა, ოფლში გახვითქული, დამახინჯებული სახეები — და არც ერთი კრინტი ხმა.

მალე წყურვილით, დამუნჯებით, შიმშილითა და სიცხით ტანჯვას კიდევ ერთი ახალი ტანჯვა მიემატა — ბრძოლა დაუძლეველი ძილის წინააღმდეგ.

შიკრიკმა მტვრის კორიანტელში ცხენი მოაგელვა, ცნობა მოიტანა, უნაგირიდან გადმოცურდა და თავისივე ცხენის ფეხებთან ჩაეძინა.

მებრძოლები თავს ძლივს იმაგრებდნენ უნაგირებზე. ძილთან ბრძოლის აღარავითარი საშუალება აღარ იყო დარჩენილი.

სალამოვდებოდა.

ძილი ეუფლებოდა თვალებს. ქუთუთოები თითქოს დამაგნიტებულია. ვერცხლისწყალივით მძიმე და უმოძრაო სისხლით სავსე გული თანდათან დუნდებოდა. მოწყვეტილივით ცვივოდა დამძიმებული ხელები, იშლებოდა შეკუმშული თითები, ქანაობდნენ თავები, ეღრციებოდათ ქუდები.

ზაფხულის ღამის ლურჯი, გულშემალონებელი ბინდი ნელ-ნელა ეფინებოდა უნაგირებზე ქანქარებივით მოქანავე ხუთნახევარ ათას მებრძოლს.

პოლკის მეთაურები ბუდიონს მიუახლოვდნენ. ისინი განკარგულებას ელოდნენ.

— დაიძინოს ყველამ! —
 ბრძანა ბუდიონიმ. სიტყვა „ყველამ“ განსაკუთრებული ხმით წარმოთქვა. — ვბრძანებ ყველამ დაისვენოს.

— ამხანაგო უფროსო... კი, მაგრამ... დაცვა, საგუშაგოები?..

— ყველამ, ყველამ დაიძინოს!...

— მაშ, ვინ, ამხანაგო უფროსო, ვინ იფხიზლებს?

— მე! — წარმოთქვა ბუდიონიმ. მარცხენა ხელზე სახელო გადაიწია, შავი ტყავის სამაჯური შებნეული საათი თვალებთან მიიტანა, და საღამოს ბინდში უკვე აკიაფებულ ფოსფორის ციფერბლატს სწრაფად შეავლო თვალი.

— დაიძინოს ყველამ, ყველამ უკლებლივ, მთელმა კორპუსმა! — მხიარული ხმის აწევით წარმოთქვა

მან. — დასასვენებლად გეძლევათ ზუსტად მორასნორკი მოცი წუთი.

მან არ თქვა: ოთხი საათი. ეს მეტად მცირე დრო იყო. მან ორას ორმოცი წუთი თქვა. თქვა იმისი მაქსიმუმი, რისი მიცემის შესაძლებლობაც ჰქონდა ასეთ ვითარებაში.

— ჰოდა, ნურაფერი შეგაწუხებთ, — კვლავ დაუმატა მან, — მებრძოლებს მე ვუღარაჯებ. პირადად საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. ორას ორმოცი წუთი — და არც ერთი წამი მეტი! ადგომის ნიშნად რევოლვერს გავისვრი.

ბუდიონიმ ხელი შემოიკრა მაუზერის ბუდეზე, სულ რომ თეძოზე ეკიდა, და ოფლისაგან გაშავებულ თავის დონურ თაფლას დეზი ფრთხილად გაჭკრა.

ერთი კაცი იცავდა მთელი კორპუსის ძილს და ეს ერთი კაცი — კორპუსის მეთაური გახლდათ. ეს იყო სამხედრო წესდების საშინელი დამახინჯება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო, ერთი — ყველასათვის და ყველა — ერთისათვის! ასეთია რკინის კანონი რევოლუციისა.

ხუთნახევარი ათასი მებრძოლი ხევში აბიბინებულ ბალახზე დაეყარა.

ზოგიერთს ეყო ძალა: ცხენებს უნაგირები მოხადეს, თავქვეშ ამოიდეს და ისე დაიძინეს.

დანარჩენები უნაგირმოუხდელი ცხენების ფეხებთან ჩაწვნენ; ხელში აღვირშერჩენილებს უეცარმა, სიკვდილის მსგავსმა ძილმა წაართვა თავი.

მძინარე მებრძოლებით მოფარდაგული ხევი ბრძოლის ველს წააგავდა.

ბუდიონიმ ნელი ნაბიჯით იწყო ბანაკის შემოვლა. უკან პირადი შიკრიკი — ჩვიდმეტი წლის გრიზა კოვალევი მიჰყვებოდა. ეს შავგვრემანი ბიჭი თავს ძლივს



ხუთნახევარი ათასი მებრძოლი ხევში აბიბინებულ ბალახზე დაეყარა.



— ...ნუ მკითხავთ. როგორ შემეშინდა... დასწყევლოს ეშმაკმა!

იმაგრებდა უნაგირზე; თვლემდა, ყოველ დონეს ხმარობდა, რომ ტყვიასავით დამძიმებული თავი როგორმე მალლა აეწია.

ასე უფლიდნენ გარს მძინარე ბანაკს კორპუსის მეთაური და მისი პირადი შიკრიკი — ეს ორი ფხიზლად მყოფი ადამიანი ხუთნახევარ ათას მძინარეთა შორის.

მაშინ სემიონ მიხეილის-ძე გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო, ვინემ ახლა, — გამხდარი, კუნთებიანი, მეტისმეტად შავი.

ბანაკის შემოვლისას ამომავალი მთვარის შუქზე იგი მებრძოლებს სცნობდა. უღვაწებში ელიმებოდა, ვაჟი-შვილის აკვანთან დახრილი მამის ნაწი ღიმილით.

აი, გრიშა ვალდმანი, ქერაულვაშა გოლიათი, მეხდაცემულ მუხასავით გულადმა რომ გდია ბალახზე. გადაგდებულ თავქვეშ უნაგირი უდევს. ფუთიან მჯიღში მათუ-ზერი უჭირავს, მჯიღში, რომლის გახსნა ძილშიაც კი შეუძლებელია. მისი მკერდი ზანდუკივით განიერია და ტევადი. იგი, ვარსკვლავებისაკენ აზიდული, თანაბრად ადი-ჩამოდის გოლიათის ხვრინვის ხმას შეწყობილი და ირგვლივ შამხნარს აწრიალებს. გოლიათის მეორე ხელს თბილი მიწა ჩაუბლუჯავს. მიდი და სცადე, წაართვა ეგ მიწა გრიშა ვალდმანს.

აი, მოკლულივით სძინავს დონელ კაზაკს, ივანე ბელენკის. თვლებზე ქოჩორი ჩამოჰყრია. გვერდზე, მჭრელი კაზაკური ხმლის მაგივრად, უზარმაზარი მახვილი უდევს. მახვილი ძველი იარაღების მოყვარული მემამულის ოჯახში იქნა რეკვიზირებული. ასეული წლები უქ-

მად ეკიდა იგი ირანულ ხალზე, მემამულის კაბინეტში. ჰოდა, ახლა ეს მახვილი დონელმა კაზაკმა ივანე ბელენკიმ წამოიღო. გალესა, გააპრიალა და თეთრების საჩხხად მოიმარჯვა.

ასეთი შემთხვევაც კი იყო:

ერთხელ, ივანე ბელენკი თავისი ცხენისათვის ალაფის საშოვნელად მდიდარ ხუტორში წავიდა. ერთ-ერთ ოჯახში თივა ითხოვა, მაგრამ დიასახლისმა უარით უპასუხა:

— არა მაქვს. მხოლოდ ერთი ზვინილა დამარჩა.

— მე ცოტა მინდა, — საწყლად უპასუხა ივანემ, — მხოლოდ იმდენი, ჩემს ცხენს რომ ეყოს, ასე, ერთი ხელის მოდება.

— ერთი ხელის მოდება შეიძლება, ინებეთ, — უპასუხა დიასახლისმა.

— გმადლობთ, ქალბატონო.

მივიდა ზვინთან დონელი კაზაკი ივანე ბელენკი და ერთი ხელის მოდებით აიღო იგი. დიასახლისი სახტად დარჩა: თავის დღეში არ ენახა მას ასეთი გრძელი ხელები. მაგრამ, აბა, რაღა უნდა ექნა. ივანე ბელენკიმ ერთი კი ამოიხვეწა და ზვინი ბანაკისაკენ წაიღო. თუ რა შეემთხვა მას გზაზე ეს არავინ იცის. ბანაკში კი ცოცხალ-მკვდარი ბელენკი უთივოდ მივიდა; ხელები უკანკალელებდა, ხმის ამოდება ვერ მოეხერხებია.

— რა მოგივიდა, ვანია?

— ოხ... ნუ მკითხავთ! როგორ შემეშინდა... დასწყევლოს ეშმაკმა.

ყველაზე უშიშარი მეომარი ივანე ბელენკი რომ ასე შეშინებული დაინახეს, მებრძოლებიც გაშეშდნენ.

ის კი იდგა და ჯერაც ვერ მოსულიყო გონს.

— ეშმაკმა დალახვროს!... არ შემაშინა იმ წყეულმა დეზინტერმა?!

— რა მოხდა? ვინ იყო?

— აკი გეუბნებით — დეზინტერი-მეთქი... ის დასაწვავი თივა რომ მომქონდა, უეცრად შუაგულ ზვინში რაღაც აფათურდა... წყეული დეზინტერი!

თურმე თივაში დეზერტირი იმალებოდა. ივანე ბელენკიმ ზვინთან ერთად ისიც ამოიღო ილიაში. თივაში შემალული დეზერტირი გზაზე თავივით აწრიალდა. ზვინიდან გამოვარდა და იმ ჩვენს უშიშარ მებრძოლს კარგა მაგარი შიშის ზაფრა დასცა.

სიცილიც აქ უნდა გენახათ!

აი, ახლაც, ნაზად და ვაჟაკურად გაიღიმა ბუდიონიმ, თავისი მებრძოლის ივანე ბელენკის თავთან ფრთხილად რომ ჩაიარა. ბელენკის მჭრელ მახვილზე პირსავსე ცისფერი მთვარე კიაფობდა.

ნათელი ღამე იდგა. ზეცაზე ვარსკვლავსათები ადგილებს ინაცვლებდნენ. მებრძოლების გამოღვიძების დრო ახლოვდებოდა.

უეცრად ყაზბეგი შედგა და ყურები ცქვიტა. ბუდიონიმ ყური მიუგდო. თავზე ხაკისფერი ქული შეისწორა, რომლის წვეტიანი ბოლო სალაშქრო კოცონის ცეცხლზე შეტრუსოდა.

ხევში, აღმართზე, რამდენიმე მხედარი მოიბარებოდა.

ბუდიონი გაინაბა. მხედრები ბანაკში დაეშვნენ. წინ მომავალმა ცხენი შეაყენა და ერთ-ერთი მებრძოლისაკენ დაიხარა. მებრძოლს დროზე ადრე გამოღვიძებოდა და ოღნავ მბრუტავი კოცონის წინ ფეხსაცმელს იცვლიდა.

მხედარს ხელში პაპიროსი ეჭირა, ცეცხლის მოკიდება სურდა.

— ეი, შენ, რომელი სტანიციდან ხარ? ცეცხლი მომაწოდე! — წარმოთქვა მხედარმა.

— თავად ვინა ხარ?

— ვერა მხედავ?

მხედარი მებრძოლისაკენ დაიხარა. მთვარის შუქზე პოლკოვნიკის სამხრეები აკიაფდა.

ყველაფერი ნათელია. ოფიცერთა განრიგი წითელარმიელთა სადგომს წააწყდა და თავისიანებად მიიღო. მაშასადამე, თეთრები ახლოს არიან. დროს დაკარგვა აღარ შეიძლება. ბუდიონი ფრთხილად გამოვიდა სიბნელიდან და მაუზერი ასწია. გაისმა გასროლის ხმა. პოლკოვნიკი დაეცა. მებრძოლები წამოცვივდნენ, ოფიცრები შეიპყრეს.

— ცხენებზე! — დაიყვირა ბუდიონიმ.

ერთი წუთის შემდეგ ხუთნახევარი ათასი მებრძოლი უკვე ამხედრებული იყო. კიდევ ერთი წუთიც და, გზაზე ავარდნილი მტვერი ტრამალის მზის პირველ სხივებში იყო გახვეული. თეთრების კავალერია ახლოვდებოდა.

სემიონ მიხეილის-ძემ ბრძანება გასცა გაშლილიყვნენ. საცხენოსნო არტილერიის მეოთხე დივიზიონის სამი ბატარეა ალაპარაკდა.

ბრძოლა დაიწყო.

...ერთხელ, სწორედ ამ ეპიზოდის მოგონებისას, სემიონ მიხეილის-ძემ ნაღვლიანი ღიმილით წარმოთქვა:

— დიან, ხუთნახევარი ათასი კაცი, როგორც ერთი, მიწაზე ეყარა და ეძინა. აი, ხვრინვა ის იყო, ირგვლივ შამბნარს აშრიალებდა.

ბუდიონიმ თვალები მოწკურა, კედელზე დაკიდულ რუკას დააქებერდა და განსაკუთრებული კმაყოფილებით გაიმეორა:

— შამბნარს აშრიალებდა...

ჩვენ ბუდიონის კაბინეტში ვისხედით. ფანჯრებს იქით მოსკოვური ხვავრიელი თოვლი მოდიოდა.

და მე თვალწინ შესანიშნავი სურათი დამიდგა: ტრამალი. ღამე. მთვარე. მძინარე ბანაკი. ყაზბეგზე ამხედრებული ბუდიონი. მის უკან ძილშეპყრობილი, შავგვრემანი, ქოჩორა ბიჭი, რომლის განურებულ მტვრიან მხარზე პეპელას ეძინა, ყურთან კი დამჭკნარი ყაყჩოების კონა ეკეთა.

თარგმნა ეთ. კეჭუყმაძემ



ხალხური ხელოვნების ოსტატები

ტობა. მან თავისი ხანგრძლივი შესწავლილი მუშაობის მანძილზე მრავალი შესანიშნავი ნაწარმები შექმნა. გორგი ხანდამპვილი კარგი ვრჯეითარე იყო. იგი კარგად იცნობდა ქართული ჩემურებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, ისტატურად ქმნიდა საყოფარ კომპოზიციებს. დიდი გერეობითაა შესრულებული მისი ფიგურები, ღრავები, სახურეები, ბულბულები; მასვე კეთდნის სუვეტური კომპოზიციები შესრულებული სათუთუნეები. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიყურებდა ვითარე ხანდამპვილი დამახასიათებელ მის მიერ აღზრდილი ოსტატებში: ლეკშვილი, ზუბინაშვილი, ქუთათელაძე, ანდრიაშვილი და სხვები შესანიშნავად დაეუფლნენ ვრჯეობის ტექნიკას. ყურადღებას აქცობს იეთრ კავალაშვილის მიერ შესრულებული პორტრეტები: „ამხანაგი ვ. ი. ლენინი“, „ა. ს. სუჰოივი“, „ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია“ და მრავალი სხვა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხე (თუშეთი, ფშავი, კახეთი, მთიულეთი, ხევსურეთი, ხევი) ძველთაგან-





სურათზე მარცხენა (ზემოდან ქვემო): 1. ვანარეუბის დროშის აღმართვა რაიონ „ტაგურე“ — პანო, ნაკვეთი, შესრულებული მ. სურგულაძის, ვ. ზაიციშვილის, დ. მანდაშვილის, თ. არაფერიასის, ვ. სანუგეიანის და მ. ცხომისის მიერ; 2. სათუთუნე, ხეზე ყველილია, შესრულებული ვ. ავალიშვილის მიერ; 3. ხეის ტრახილურა, შესრულებული: მჭებო თ. და ა. ვეიციების მიერ; სურათზე მუჯოთი ქართული ხანძარბაზის კომპლექტი, ვრჯეობითარე სხვადა, შესრულებული მჭებო თ. და ა. ვეიციების მიერ; სურათზე მარცხენა (ზემოდან ქვემო): 1. პოლ რობსონი, ქანდაკება (ხე), შესრულებული ვ. ვეფხისტყაოსნის მიერ; 2. ვაზი, ქედრობა, შესრულებული მ. ხანდამპვილის მიერ; 3. ახარჯევა (სამსო), ვრჯეობითარე, შესრულებული მჭებო თ. და ა. ვეიციების მიერ.



პატარა სახელოსნოში, ინსტრუმენტებით დატვირთულ მავიდოსთან ზის სათითო სახის ქარამედი მოხუცი. აი, მან ხელში მოიპარგავა ვერცხლით მოსართავი საგანი და წინასწარ მონიშნულ ხასხესზე ფრთხილად გაყოლა წინიდან დაგრეხილი ვერცხლის ძაფი; დროდრობა სავსებით წერილ ბუთონურებს ამბარებს ვერჯეთუფლებული ვერცხლის კვებით და ნამუშევარი უფრო სრულყოფილი ხდება. ლითონის მხატვრულად დამუშავების ამ ხერხს „ხარეხილური“ ეწოდება.

არაყალბე საინტერესოა ამვე ოსტატის მავიდოზე დასავებული მოვერცხლოლ ყანუები და ქართული სხვა სამსახურები, რომლებზედაც ვერცხლზე შვეი სახეებით გამოიყვანილია სწორწინითი ჩემურებისმი. ვერცხლზე მუშაობის ამ ხერხს „სეკე“ ეწოდება. უკვე რამდენიმე ათეული წელია ოსტატები ამხრობენ აქვით სიყვარულით დამუშავებულ თავის საქმეს. ამვე ხელობით იყო გატაცებული მისი უფროსი მამა — თბაძე აქვია, ზუგდიდში — ფილიპო ძამაძემაც ამბავად ეს მათი აღზრდილები ეუფიან ნყოფიერ მუშაობას. ლითონის მხატვრულად დამუშავება ძველ საქართველოში განთქმული იყო. ზომით ნახსენებ სასიონბათია ვარდთა თეოლე საუკუნეთა მანძილზე ქართველი ოქრომკვლელები, ზარინის ოსტატები და ვრჯეობითარე ჰქმნიდნენ შესანიშნავ ნივთებს და ხალხური კულტურის სავანდურში თვისი წვლილი შეჰქონდით. ქართული კედლების შესრულების პრინციპი ითქმის უცუცალო იყო, იცვლებოდა მხოლოდ შესრულების მანერა, სტილი, ოსტატობის მხატვრული და ტექნიკური დონე.

თანამედროვე ქართველ ოქრომკვლეთა შორის ყურადღებას იმყრობს ვითრე ხანდამპვილის ოსტა-






მდღარი და მრავალფეროვანი იყო ქართული ნაწარმობის ტექნიკური სრულყოფითი, დიდი ფინანსობით და ფეითა პარიონილი შეხამებით გამოიჩინა იგი. ამ ტრადიციამ იცინამდე მოაწვია. იქარავნობა და იქარავნობა ტრანსცელრი, სუფრები, ბალიშები, შუთაქები, ფარდავები, მონაქები. ყველაზე მეტად ვარჯეობითაა შესრულებული იყო ოქრომკვლე ქარვერლობა. იმპროვირება შილი და ვრჯეობითაა ამბრეშობის ძაფი, შალის ძაფი, ხავერდული. ნაქარავნობა ხშირად ატანდნენ მერქმის თვლებსაც.

ჩვენი მქარავნებიდან ყურადღებას აქცობს ნ. ლოლასი, ლ. რამიშვილი, ნ. სულხანიშვილი, ა. ჯანიშვილი და სხვათა ნამუშევრები. ვ. კუშნარაშვილის სახალილოდ უნდა ითქვას, რომ იგი წინასწარი ნახატების გარეშე პირდაპირ ფერად მავიდო მუშეებს მუშაობდა და ვეფხისტყაოსნის მონატურული ზომის რთულ სურათებს.

ხეზე კეთა ჩვენი მველთაგანვე ცნობილი. აღამაზნებდნენ სახის დედაბობებს, აინგნეს, კარგებს, დგანებს, ბუნის თავებს, კურგებს, მუსიკალური ინსტრუმენტებს. ხეზე ყვეთილობისათვის იყენებდნენ ხის რაფერზე მავიდო, ისე რბილ ჯაშებს. მავიდო მჭებო, წებოლი, მსხალი, ევაბი, ურთხმეული, მზა, უნაბი. რბილი ჯიშვიდან — ცაცხვი, ტრიფი, აღ-სიყაე.

ხეზე ყვეთილობის მრავალი სახეობაა ცნობილი ჩვენიში. ასე მავიდოთადად მრავალი ქანდაკება, რეალიზირებული გამოიხატებოდა. ამ ბოლი ხანებში ვავრცელდა ხეზე ყვეთილობით სხვადასხვა სურათებისა და პორტრეტების შესრულება. ოსტატები ხშირად მეტად საინტერესო





★
მარცხნივ: ყუთი, ქედლ-
რობა და გრეხილური, შესრუ-
ლებული გ. ხანდამაშვილის და
ძმები თ. და ა. ჯიქიების მიერ.
ქვემოთ: ქისა, ნაქსოვი, შე-
სრულებული დ. მამადაშვილის
მიერ. დოქი, კერამიკა, შეს-
რულებული ი. კბილაშვილის
მიერ.

★

თემატურ სურათებს იძლევიან. ამის
საუკეთესო დამადასტურებელია გ.
ავალიშვილის „რთველი“, გ. რუსი-
შვილის „ლენინი გადასახლებაში“,
მ. მგელაძის „წითელარმიელი“, ვ.
გედენიძის „პოლ რობსონი“.

საქართველოს თითქმის ყველა
კუთხეში მრავლად მოიპოვება სპე-
ციალური თიხა, რომელიც წყალში
დახელების შემდეგ საკმაოდ პლასტი-
ური ხდება და ამიტომ მას ადვი-
ლად ეძლევა სასურველი ფორმა.
ზოგჯერ თიხა სილანარევია. ასეთი
თიხა ნაკლებ პლასტიურია, მაგრამ
სამაგიეროდ უფრო მაგარია და ნაკ-
ლებ ტეხადი. ჩვენში თიხა სხვადასხ-
ვა ფერისაა: დაწყებული მუქი აგუ-
რისფერიდან, ვიდრე ნაღების ფე-
რამდე. ყოველივე ამან თავისებუ-
რად შეუწყო ხელი ქართული კერა-
მიკის განვითარებას.

თიხის ჭურჭელს სპეციალურ
დაზგებზე ამზადებენ. მზა პროდუქ-
ციას ქურაში გამოწვავენ. ნაწარმს
რომ უკეთესი თვისებები და სილა-
მაზე მისცენ, ამისათვის მას გამოწ-
ვის შემდეგ უკეთებენ ჭიქურას და
მეორედ გამოწვავენ. ჭიქურა ჭურ-
ჭელს ბზინვარებას, ნაკლებ ყონა-
დობას და მეტ სიმაგრეს მატებს.
ჭიქურა შეიძლება იყოს სხვადასხვა



ფერის: მწვანე, ლურჯი, შავი, ყა-
ვისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი.

ხშირად თიხის ჭურჭელზე აკეთე-
ბენ რელიეფურ სახეებს, ან ამოკაწ-
რავენ და ფერად სახეებს გამოიყვა-
ნენ. კახეთში, იმერეთსა და ქართლ-
ში დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ
ოსტატები: მაჩხანელი, კბილაშვილი,
დათეშიძეები. ისინი საუკეთესოდ
ამზადებენ ჭურჭელს, სასმისებს. სა-
ინტერესოდ მუშაობს გორელი ი.
კბილაშვილი, რომელიც ცდილობს
გადმოგვეცეს სხვადასხვა სცენები
ცხოვრებიდან. ყურადღებას იპყ-
რობს მის მიერ თიხისაგან დამზადე-
ბული კომპოზიციები: „ქორწილი“,
„საბავშვო ბაღი“, „წითელარმიე-
ლი“.

საქართველო ძველთაგანვეა გან-
თქმული თავისი სახვითი ხელოვნე-
ბით. ყველაზე გავრცელებული სახე-
ობანი ზემოთ ჩამოვთვალეთ. ზოგი
სახეობა სამწუხაროდ დღესდღეო-
ბით მივიწყებულია.

ჩვენი თანამედროვე ოსტატები
მონაწილეობას იღებენ როგორც სა-
ერთაშორისო (პრაღა, პარიზი), ასე-
ვე საქავშირო და რესპუბლიკურ
გამოფენებზე, სადაც ყოველთვის სა-
პატიო ადგილი უჭირავთ.

ივ. უზნაძე



„მალკას“

თავბაღასაშალი

ნარკვევი

ხუთი წლის „ბავშვი“ იყო ჩვენი სპილო, როდესაც იგი სამშობლოში — ინდოეთში დედ-მამას დააცილეს და თბილისის ზოოლოგიურ პარკში მოიყვანეს, სახელად „მალკა“ შეარქვეს და, როგორც საპატიო პიროვნება, სპეციალურ ბინაში მოათავსეს.

მას შემდეგ 19 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში იგი გიგანტი გახდა. „მალკა“ ახლა ოთხ ტონამდე იწონის და თავის ტოლთა შორისაც კი „მძიმე წონის ძალოსნად“ ჩაითვლება. ყოველდღიურად მისი კვების რაციონში შედის ბალახი, თივა, ქატო, ქერი, ხილი, ბღჩეული, ფიჩხის ტოტები და სხვ. ზაფხულობით დღე-ღამის განმავლობაში 250 კილოგრამ საკვებს მიირთმევს, ზამთრობით შედარებით ნაკლებს.

ზამთარი იყო „მალკას“ მომვლელი ანა მალიშევა დილაადრიან მოვიდა სამუშაოზე. ცხოველს ბინა დაუხუფთავა, ღუმელში ცეცხლი დაუნთო, წინა ღლის თივა დაუყარა და საწყობში პროდუქტების მისაღებად წავიდა.

უკან დაბრუნებისას მალიშევას შემოესმა „მალკას“ ხმა. ანა მიხვდა, რომ ცხოველს რაღაც უჭირდა და ვოლიერს მიაშურა.

„მალკა“ საზაფხულო ვოლიერში დაუხვდა. იქ კი იგი არ უნდა ყოფილიყო. რაში იყო საქმე? როდესაც მომვლელი ქალი წავიდა, „მალკამ“ თივა, რომელიც მას საჭმელად მისცეს, ხორთუმიტ ღუმელს დააყარა. თივას, რასაკვირველია, ცეცხლი წაეკიდა და შენობა ბოლით გაივსო. შეშინებული „მალკა“ რკინის კარებს მივარდა, რომელიც რკინისავე ურდულით იყო გადარჩული, მძლავრი, მოქნილი ხორთუმიტ ურდული გამოადრო, საზაფხულო ვოლიერში გამოვარდა და იქიდან განგაში ატეხა — მიშველეთო.


ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. „მალკა“ მიხვდა თავის დანაშაულს და შემდეგ ასეთი „ცელქობა“ აღარ გაუმეორებია.

როდესაც „მალკა“ საზაფხულო ვოლიერშია, იგი გამუდმებით მოძრაობს, გარს უვლის ვოლიერს, ზამთარში კი ერთ ადგილზე დგას და აქეთ-იქით ქანაობს.

— რატომ არის გიგანტი ასე მოუსვენარი? — ხშირად კითხულობენ პარკში მოსული სტუმრები.

საქმე ისაა, რომ ბუნების წიაღში ცხოვრებისას საკვების საშოვნელად სპილოებს უხდებათ ყოველდღიურად რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლა. ტყვეობაში ისინი მოკლებული არიან ასეთ სამუშაოს — მზამზარეულად ეძლევათ ყველაფერი. ნაკლებმა მოძრაობამ რომ დონდლო არ გახადოს, „მალკა“ კუნთების გასამაგრებლად ატარებს ამ ფიზკულტურულ ვარჯიშს.

ზოგჯერ საქმე უფრო რთულდება. „მალკამ“ არ იცის სად გამოიყენოს თავისი დევგმირული ძალა, ამტვრევს რკინის მოაჯირს, ხან კი თავისი ხის საწოლის ფიცრებს, ჭერს, ღუმელს... სწორედ ამან გამო-



„მალკა“ ახლა ოთხ ტონამდე იწონის და თავის ტოლთა შორისაც კი „მძიმე წონის ძალოსნად“ ჩაითვლება.

იწვია „მალკას“ საზამთრო ბინის რეკონსტრუქციის აუცილებლობა. ჭერი აამაღლეს, საწოლზე მკვრივად დააგეს სქელი ფიცრები.

გასულ წელს, ადრე გაზაფხულზე, „მალკა“ აფორიაქდა: იგი ხშირად მიდიოდა კარებთან, რომელიც რკინის ურდულით იყო ჩაკეტილი, და ხორთუქს ურტყამდა — საზაფხულო ვოლიერში გამოიშვითო. როცა ნახა, რომ მის თხოვნას ყურად არ იღებდნენ, რადგან ჯერ კიდევ საკმაოდ ციოდა, მძლავრი დატაკებით გაანგრია აფურით ამოშენებული ერთი გაუქმებული კარი, თავი გაჭყო შიგ და ხარბად ისუნთქა გაზაფხულის სუფთა ჰაერი. საღამოს კედელი ამოაშენეს, მაგრამ დილით „მალკამ“ იგი კვლავ გაანგრია.

ერთხელ, ზაფხულში, ღამის ორ საათზე, როდესაც მორიგე სპეციალისტი პარკის ტერიტორიაზე შემოვლას აწარმოებდა, საზაფხულო ვოლიერში „მალკა“ არ დაუხვდა: თურმე „მალკას“ რკინის მოაჯირი გაემტვრია, გარეთ გამოსულიყო და ცენტრალურ მაგისტრალს გაჭყოლოდა მუშათა საერთო საცხოვრებლისაკენ.

მორიგე „მალკას“ მოსაძებნად წავიდა. როდესაც ვოლიერიდან რამდენიმე ათეული მეტრი გაიარა, დაინახა „მალკა“, რომელიც გზის პირად ხის ტოტებს ამტვრევდა და შეექცეოდა. უნდა აღინიშნოს რომ, სპილოს საყვარელი საკვებია ხის ფოთლები და ტოტები. ზოგჯერ იგი ღეჭავს 10-12 სანტიმეტრის სისქის ტოტებს, ამიტომ ზოოლოგიურ პარკში ზამთრობით „მალკას“ დღეში 25 შეკვრა ფიჩხს აძლევენ, ზაფხულში კი ხის ტოტებს.

მორიგემ მიუღერსა „მალკას“ და სცადა ვოლიერში მისი წყვანა, მაგრამ ამაოდ — „მალკას“ არავითარი სურვილი არ ჰქონდა დაეტოვებინა გემრიელი ფოთლები. მორიგემ საერთო საცხოვრებელს მიაშურა, სადაც „მალკას“ მომვლელი ქსენია მოლოტოვა ცხოვრობდა.

ქსენია მოვიდა, „მალკას“ მიუღერსა, შემდეგ კი ათი-თხუთმეტი მეტრით მოშორდა, ჩაცუცქდა და მორთო ყვირილი: „მალკა, ავად ვარ მიშველეო“... „მალკა“ ქსენიასაკენ მიტრიალდა, მიუახლოვდა. ეს რომ ქალმა დაინახა, ჩაცუცქებული წავიდა იქითკენ, სადაც ვოლიერის გატეხილი კედელი იყო. გიგანტი კვალდაკვალ მისდევდა მას. ამ ხერხით მომვლელმა ქალმა „მალკა“ საზაფხულო ვოლიერში შეიტყუა. შემდეგ კი სპილო საზამთრო ბინაში ჩაქეტეს.


ასე დამთავრდა „მალკას“ თვითნებური გასეირნება ზოოპარკის ტერიტორიაზე. დილით მოაჯირი კარგად შეაკეთეს.

აღსანიშნავია რომ, „მალკა“ ხელზე გაზრდილია და ამიტომ არ ერჩის მომვლელ პერსონალს. ზაფხულში იგი მომვლელი ქალის ბრძანებით წამოწვება ხოლმე და მას წყლით, ცოცხითა და საპნით სარკესავით სუფთას ხდიან. როდესაც გიგანტი უწესობას იწყებს, ქსენია ტუქსავს მას: „მალკა“, გეყოფა თავის აგდება, თორემ გაილახები!“ სპილო კუთხეში დგება და დამნაშავე ბავშვივით გამოიყურება.


„მალკას“ კარგი ურთიერთობა აქვს პარკში მოსულ სტუმრებთან, რადგანაც მათ ყოველთვის მოაქვთ მისთვის სხვადასხვა სასუსნავი. იგიც დინჯად იტკბარუნებს პირს, რითაც ძალზე ნასიამოვნები რჩებიან ბავშვები.

როცა საზაფხულო ვოლიერის გაფართოება დამთავრდა, მის ტერიტორიაზე რამდენიმე ხე დარჩა. „მალკამ“ მათ ჯერ ტოტები შემოაცალა, შემდეგ კი ძირიანად ამოთხარა.

როგორც ცნობილია, ინდოეთში სპილოებს აშინაურებენ და დიდ შრომატევად სამუშაოებს ასრულებინებენ, განსაკუთრებით ხე-ტყის დამწადებისას.



შეშინებული „მალკა“ ცეცხლოვებულ საზამთრო ბინიდან ვოლიერში გამოვარდა.



ხუთი წლის „ბავშვი“ იყო მალკა, როდესაც თბილისის ზოოპარკში მოიყვანეს.



სპილოთა ჯოგებს ჰყავთ მეთაურები, რომლებიც მეტწილად გამოცდილი, ძლიერი და მარბო მამლებია. ჯოგის წევრები გრძობენ ამგვარ უპირატესობას და ემორჩილებიან მათ მიერვე ამორჩეულ წინამძღოლს.

მეთაურებს ღონის გარდა საზრიანობაც არ აკლიათ. წყლის დასაღვეად მიმავალ სპილოთა ჯოგს გამოეყოფა მეთაური, რომელიც დაწვერავს გარემოს და, თუ ხიფათი არაა მოსალოდნელი, აცნობებს გზა განაგრძეთო. შემდეგ მეთაური რამდენიმე სპილოს დარაჯად აყენებს, დანარჩენები კი წყალს სვამენ.

მეთაურს, რომელიც თავდადებით ზრუნავს ჯოგზე, თამამად შეუძლია მიენდოს „ქვეშევრდომებს“. მაგალითად, მონადირეების თავდასხმისას სპილოები ყოველი მხრიდან გარს ერტყმიან მეთაურს და ცდილობენ იხსნან იგი განსაცდელისაგან.

ტყვეობაში სპილო საერთოდ იშვიათად მრავლდება. მიუხედავად ამისა, მოსკოვის ზოოლოგიური პარკის მეცნიერმა მუშაკებმა მიაღწიეს იმას, რომ სპილომ ტყვეობაშიც მოგვცა შთამომავლობა. ეს პირველი შემთხვევა იყო მთელ საბჭოთა კავშირში.

აღსანიშნავია, რომ სპილო 30 წლის ასაკში იწყებს გამრავლებას, მაკეობს 628 დღე, ცოცხლობს 150-200 წელიწადს. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ 5-6 ნაშიერს შობს. ახალდაბადებული სპილო დაახლოებით 100 კილოგრამს იწონის. სპილოს ძირითადი ორგანოები მეტად დიდია. მოსკოვის ზოოპარკში გაჰყვეთეს გარდაცვლილი სპილო და გამოირკვა, რომ მისი ტვინის წონა 900-ჯერ ნაკლები იყო სხეულის საერთო წონასთან შედარებით; ფილტვების წონა 100 კილოგრამი იყო, ღვიძლისა — 80, თირკმლებისა — 30, გულისა — 20 კილოგრამი, კანის სისქე 6,5 სანტიმეტრს უდრიდა.

სპილოს ძვალი მეტად ძვირად ფასობს. მისი ეშვების ძვლისაგან ამზადებენ ბილიარდის შარებს, ჭადრაკის ფიგურებს, სამკაულებსა და სხვა ნივთებს.

კლ. ივარკევი



სურათზე: (მარცხნიდან): ა. ხახუტაშვილი, მარიჯანი და ნ. ნაკაშიძე.

ს ა მ ი მ ე გ ო ბ ა რ ი

ისინი სრულიად ახალგაზრდები მოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში. ნინო ნაკაშიძე, ანა ხახუტაშვილი და მარიჯანი თავიდანვე მხარში ამოუდგნენ ეკატერინე გაბაშვილსა და შიო მღვიმელს, მათთან ერთად გაიზიარეს ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმატებანი.

ვინ არ იცნობს იმ მოთხრობებსა და ლექსებს, რომლებიც ქართველი ბავშვების ცხოვრებას მიუძღვნა სამმა მწერალმა ქალმა; ვის არ წაუკითხავს „ულუ და თეთ“, „ლაღიაშვილი“, „თომიკოს საჩუქარი“, „გაზაფხულის მერცხლები“, „ზურა ატმის ქალაქში“, „გელა“.

ახლახან ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ აღნიშნა მარიჯანის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავი. თბილად ჩაიარა 1952 წელს იმ საიუბილეო საღამომაც, რომელიც ნინო ნაკაშიძის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა. წელს ანა ხახუტაშვილს (ცქვიტს) დაბადებიდან 70 წელი უსრულდება.

ამ სამი მეგობრის პატივისმცემელთა რიგებში პირველი ადგილი მუდამ ბავშვებს უკავიათ. ეს არც გასაკვირია. ისინი ხომ მათი შემოქმედების არა მარტო მკითხველები, არამედ გმირებიც არიან.

ეს ფოტოსურათი გადაღებულია ნინო ნაკაშიძის ბინაზე. ანა ხახუტაშვილი და მარიჯანი სტუმრად ეწვიებ უფროს მეგობარს ნინო ნაკაშიძეს. ერთხელ კიდევ გადაავლეს მეგობრებმა განვლილ დღეებს თვალი, ის წლები მოიგონეს — ამავე შენობაში, უფრონალ „ნაკადულის“ რედაქციაში რომ მოჰქონდათ თავიანთი ლექსები თუ მოთხრობები. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. წლებმა გაათეთრა მათი თმები, მაგრამ ახალგაზრდულ გულს ვერაფერი დააკლო. ისინი კვლავ დიდი ენერგიით ემსახურებიან საყვარელ საქმეს, ქართულ საბავშვო ლიტერატურას.

ჩვენც ვუსურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე სამ ამგდარ მწერალ ქალს!



☆

როდესაც რაზმეულის შეკრებაზე ზოგიერთი სწავლაში ჩამორჩენილი მეოთხეკლასელი საკითხი ირჩეოდა, თემურელმა ქეთო ჩიქოვანმა გადაწყვიტა დახმარებოდა უმცროს მეგობრებს. ახლა იგი რუსულ ენასა და ლიტერატურაში ამეცადინებს მეოთხეკლასელებს.

☆

მზისუმზირა

— ძია!
ახლა წინიდან მოუტრა მარლენ თათენაშვილმა ახოვან, დარბაისელ კაცს:

— ძია!
დარბაისელი შეირხა. ტროლეიბუსის მოლოდინით გულგაწყალელებულს ძლივს ჩაესმა ბიჭუნას ხმა.

— რაშია საქმე?
წითელყელსახვევიანმა გრუზა ბიჭმა მარჯვენა ხელი მალლა ასწია — პიონერთული სალაში მისცა.

— ძია, ტროტუარიდან სამანქანო გზაზე ჩამოსულხართ... მოძრაობის წესებს არღვევთ.

გარშემო მყოფთ სიცილი წასკდათ. კოპშიად გამოწყობილი ქალიშვილი ჩუმით აიპარა ტროტუარზე. „წესრიგის დამრღვევი“ მოქალაქე შეცბა, უხერხულად მიიხედა-მოიხედა მაგრამ მომღიძვარ სახეებს რომ წააწყდა, თავადაც ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— ყოჩაღ, ბიჭუნავ! დალახვროს ეშმაკმა, არასოდეს არ მიფიქრია, რომ ამით წესრიგს ვარღვევ...

— დიახაც, რომ არღვევთ! — აუიფვიდნენ მარლენის ტოლ-ამხანაგები. — ტრანსპორტს ტროტუარზე უნდა დაელოდოთ და არა გზაზე. ხომ შეიძლება მანქანამ ჩამოიქროლოს და... მაშინ?

ამასობაში ტროლეიბუსიც მოვიდა. მოქალაქეებმა პიონერებს თავი ანებეს, ღია კარებს მიაწყდნენ.

დარბაისელმა კაცმა ფეხი აითრია:
— ვინა ხართ, ბავშვები?

— ჩვენ თემურელები ვართ, ორმოცდამეთხუთმეტე სკოლის მერვე რაზმიდან, — წკრიალა ხმით ასძახა ქეთო ჩიქოვანმა უკვე კიბის საფეხურზე შემდგარს.

— ტარიელ! ტარიელ! — სახელო ჩამოსწია მეგობარს არჩილ სუბატაშვილმა. — ჩვენ მეორე მხარეს გადავიდეთ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისაკენ. ტროლეიბუსს გოგოები მოუვლიან.

— ვითომ რათაო? მეც თქვენთან მოვდივარ.

— არა, ქეთო, შენ იმ ეზოში შეიარე. თამაზიც წამოვა.

— უი, მართლა.

— ვაითუ იმ დეიღამ დაგვიტატანოს: რა თქვენი საქმეა ჩვენს ეზოში ნაგავია თუ სისუფთავეო.

— რას ამბობ, გოგო, განა არ იციან რომ ჩვენ თემურელები ვართ და ჩვენი მოვალეობაა თვალყური ვადევნოთ ჩვენი უბნის სისუფთავეს!

— გაიტანდნენ, აუცილებლად გაიტანდნენ ნაგავს.

— ჰოდა, ვნახოთ...

...ხეზე მიყრდნობილმა ახალგაზრდამ პაპიროსი ერთი დარღვიმანდულად გააბოლა.

— მერე, მერე? — სულწასულად ჩაეკითხა ამხანაგი.

— რაღა მერე, ხელი დავავლე ჩემს კონსპექტს, ლექტორისაკენ აღარც მიმიხედავს ისე გამოგზურე აუდიტორიის კარები.

— სესიებზე რაღას იზამ?

— რა უნდა ვქნა, ვიცი ორიანს არ ამაცილებს. — და ჯავრიან გულზე ერთხელ კიდევ მოქაჩა პაპიროსი, ნამწვი კი ხელუკლმა ისროლა გაზონისაკენ. — ორიანი კი... — და ეს სიტყვა პირზე შეაშრა, ისეთი სახით მიუახლოვდა პაქია მარლენი.

— აქ რომ ყველამ ასე ისროლოს პაპიროსის ნამწვი, სანაგვე ყუთს დაემსგავსება გაზონი! — მკაცრად თქვა მან.

— ბიჭოს! როგორ ლაპარაკობს, ხედავთ? — გაიცინეს სტუდენტებმა. პიონერები კი მარლენს ამოუდგნენ მხარში.

— აქ ურნები იმისთვის არის დადგმული, რომ...

— თანაც სტუდენტია!

— თავისი ხელით აიღოს! — არ აცლიდნენ ერთმანეთს თემურელები.

ახალგაზრდამ ქული გადაიწია, წიგნები იღლიაში მონაცვლა და ამხანაგების სიცილ-ხარხარში გაზონისაკენ გადაიხარა.

— პიონერები მართალი არიან. — გაისმა აქეთ-იქი-დან. „დამნაშავე“ კი ცისფერად შეღებულ ურნისაკენ მიქნულა...

— ესეც ჩვენი რეიდი! — ამაყად ჩაილაპარაკა მარლენმა. — ახლა ხუთშაბათამდე ვერ გამოვალთ.

ნაადრევი საღამო ეპარება ქალაქს, მარინე ჯაფარიძე მორიგის წითელ ნიშანს იხსნის. ჩუმად მიყვება შეგობრებს. იგი უკვე ხვალნდელ საზეპირო ლექსს იმეორებს გულში. ზოგჯერ თვალსაც ლულავს, ლექსის რიტმს აყოლებს ნაბიჯებს. უცებ!...

— მარლენ!

— რა იყო, მარინე?

— შენ... შენ... — აღღვებებისაგან ენა ებმის გოგონას.

— რას აკნატუნებ?

შემცბარი მარლენი კნატუნს წყვეტს. მუჟს მორჩილად ხსნის და... მოხალული მსუქანი მზესუმზირა ტროტუარზე იბნევა...

— ვაი სირცხვილო!...

„მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი“

გამოსვლის ზარი დიდი ხანია დაირეკა. პირველი ცვლის მოსწავლეებმა ყრიაბულით ჩაიარეს კიბეები. ზოგი კიბის მოაჯირს გადაეყრდნო და თვალების აქეთ-იქით ცეცებით, მასწავლებელი არ წამომაწყდესო, უცებ დაეშვა სრიალით დაბლა.

— კისერს მოიტეხ! კისერს! — იწივლეს გოგონებმა.

— განი, განი, თქვე ლაჩრებო! — შესძახა ახლა მეორემ, მაგრამ სამასწავლებლოდან გამოსულ უფროსებს რომ მოჰკრა თვალი, ტუჩზე უხერხული ღიმილი აიკრა, მოსწავლის ქუდი მოიხადა და დინჯად ჩაითვალა საფეხურები.

...მათ კი ფანჯრის რაფაზე მიულაგებით ჩანთები, ერთმანეთს მიჰკვირიან და ფართო თვალები შემოსასვლელისაკენ მიუშტერებიათ, ადგილიდან არ იძვრიან.

— ვის ელოდებით, ბავშვებო, გაკვეთილები ხომ დაგითავრდათ? — შეჩერდა დერეფანში მიმავალი დამლაგებელი ქალი.

— მასწავლებელს. — ერთხმად აუიფვივდნენ პატარები.

— ნეტავ რა დააშავეს? — თავისთვის ჩაიბუტბუტა დამლაგებელმა და სველი ტილო იატაკზე გაასრიალა.

— აგერ, მოდის! — დაიძახა ერთმა მათგანმა და ფეხი წინ წადგა. ცნობისმოყვარე ქალმა ირიბი მზერა გააპარა შემოსასვლელისაკენ და ჰოი, საკვირველებავ! კიბეზე დინჯად ამოდიოდა... პატარა, წითელყელსახვევიანი გოგონა. არც მეტი, არც ნაკლები, მეხუთეკლასელი ქეთო ჩიქოვანი.

— მასწავლებლო, ჩვენ უკვე გელით, — აფუსფუსდნენ მეოთხეკლასელები და ჩანთებს წამოავლეს ხელი.

— ეგეც თქვენი მასწავლებელი! აი, ვინ ყოფილა! — თავისთვის ბუტბუტებს დამლაგებელი ქალი და თითქოს ბრაზმორეული უსვამს იატაკზე ტილოს. აბა, რა იცის მან, რომ ამას წინათ, რაზმეულის შეკრებაზე ამ პატარების საკითხი იდგა. მათ რამდენიმე ორიანი მიიღეს და ამით თავიანთი რაზმი შეარცხვინეს. მერვე რაზმის თემურელებმა მაშინვე ერთმანეთს გადახედეს, თვალებით უთხრეს ერთმანეთს რაღაც, ზოგმა წაჩურჩულებაც მოასწრო, და...

— ნანა ხელმძღვანელო, ჩვენ დავეხმარებომათ! — წამოიძახა ერთმა.

— ჩვენ! ჩვენ! — აიტაცეს სხვებმა და ოროსნებმაც ახალა ასწიეს ჩაღუნული თავები. იგრძნეს, რომ პიონერული ოჯახი ამ გასაჭირში მართო არ დატოვებდა მათ.

— ეგ საქმე მე დამავალეთ. — უფროსის სერიოზულობით განაცხადა ქეთო ჩიქოვანმა, წაბლისფერ თმებზე ხელი გადაისვა და სხივიანი თვალებით გახედა მომავალ მოსწავლეებს.

გადაწყდა. გაკვეთილების შემდეგ ერთი საათით დარჩებიან სკოლაში მეოთხეკლასელები. ქეთოცურთი საათით ადრე მოვა და...

— მეცადინეობის დაწყების წინ პალტო უნდა გაიხადო...

— წიგნის გადაშლისას თითი არ უნდა დაინერწყვო...

შენიშვნებს იძლევა თემურელი და დაფისაკენ მიუშტერება.

— მამასადამე... — იწყებს იგი და თვალებგაფაციცებული მეოთხეკლასელები არაფერს არ ტოვებენ მისი ნათქვამიდან. ხელახლა იმეორებენ კლასში ჯხსნილს, კალმებს აწრიბინებენ, ფრთხილად შლიან წიგნის ფურცლებს...



— აქ რომ ყველამ ასე ისროლოს პაპიროსის ნაშწვი, სანაგვე ყუთს დავსვავენ და გავწივით. — მიმართეს თემურელებმა წესრიგის დამრღვევს.



პატარა გულელებში ნელინელ შემოდის წინათგრძნობა. დიდი სიხარულისა: მალე მათი დღიურებიდან გაქრებიან სამარცხვინო ორიანები, მალე გაუსწორებენ თვალს თანატოლებს და მშობლებს, მალე პირნათლად მივლენ რაზმეულის მორიგ შეკრებაზე. „ჩვენ დავეხმარეთ, ჩვენ!“ — იტყვიან მაშინ თემურელები და ახლა მათი „მასწავლებელი“ ჩაღუნავს თავს, დაიმორცხვებს, დიხაც რომ დაიმორცხვებს! აბა, ფუყე თავთავივით ხომ არ ასწევს თავს მალლა!...

გარეთ, კლასის კარებს კი ნანა ხელმძღვანელი მოსდგომია და სიამოვნებით უბრწყინავს თვალები...
აი, როგორები არიან ისინი, ჩვენი მერვერაზმელები!

დ ი ს კ ა ნ ტ ი

— მორიგი ნომერი! — აცხადებს თეთრბანტიანი გოგონა. — მეოთხეკლასელი ჯუმბერ მარდანია შეასრულებს ნიკოს სიმღერას მულტ-ფილმიდან — „ნიკო და ნიკორა“.

„შენ, ჩემო კარგო ნიკორა
რა მშვენიერი რამა ხარ!“...

არაკრავებს ბუთხუზა ბიჭი. უფრო მალლა, უფრო მალლა იწევს ხმა, ვერცხლის წკრიალი ისმის მასში, ნაკადულის რაკრაკი და ქართული მელოდიის ლივლივი.

— გაია! — მკლავზე ჩქმიტავს მარინე ჯაფარიძე თავის ძმას. — გაია! — სულშეხუთულად და ალტაცებით ჩასიურჩიულებს ყურში. — ეს ხომ დისკანტია, გესმის? დისკანტი!

— მენახშირის სიმღერა, კინოფილმიდან „მაგდანას ლურჯა“, — დიმილით ამბობს პატარა კონფერანსიე.

— უჰ, შენი გულისა! — გაეხარდათ მსმენლებს. აგერ ერთი წელია ამ სიმღერას ისმენენ ყველგან, კინოში, ქუჩაში, შინ. ისმენენ კი არა, ბევრ ბიჭს ჩაეხრინწა ხმა, ისეთი გულმოდგინებით ვაკვივის.

ახლა კი ეს პაწია პიონერი ვერ უყურებთ როგორ აწკრიალებს! ამიტომაც ტაშს არ იმურებენ ბავშვები. მხოლოდ ორ მათგანს დავიწყებია ტაში. ისინი სხვა საზრუნავს გაუტაცნია ახლა.

— როგორ ვერ შეამჩნიეს! — დელავს მარინე. — ეს ხომ დისკანტი. — რაღაც პატივისცემით მარცვლავს მარინე ამ სიტყვებს. პატივსაცემი კი დიხაც განლავეთ...

ამას წინათ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოსწავლეთა ძალებით კონცერტი მოეწყო შობღერალთა გუნდის გამოსვლისას და-ძმა განსაკუთრებით საგზაფხულო სიმღერამ მოხიბლა.

„გაზაფხულდა“ — იწყებდა სოლო და გუნდიც ფეხდაფეხ მისდევდა: „გაზაფხულდა“, მაგრამ სოლოს შემსრულებელ გოგონას ხმა აუკანკალდა, ვერ უწივდა ისე მალლა, როგორც საჭირო იყო. ეს გაამ და მარინე-მაც კი შეამჩნიეს. შესვენებისას, ფოიეში კი გუნდის ხელმძღვანელის, პატივცემულ შოთას სიტყვებსაც მოჰკრეს ყური: „გუნდისთვის ბიჭის ხმა მჭირდება. დისკანტია საჭირო, დისკანტი! ვეძებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მიპოვიაო“. უცხა სიტყვას რომ მოჰკრეს ყური, და-ძმამ ერთმანეთს გადახედა: ნეტავ ეს „დისკანტი“ რაღააო. ისე დაინტერესდნენ, რომ უფროსებსაც შეეკითხნენ. თურმე დისკანტი სიმღერა „გაზაფხულისათვის“ ყოფილა საჭირო. მამასადამე დისკანტი წვრილა

ხმა. მამ სჭირდება ჰა, დისკანტი სასახლის გუნდის? სჭირდება და მერე როგორ! ახლა კი ერთი წიანი შეხედეთ: თურმე აქვე არ ყოლიათ, გვერდით, მეოთხე კლასში — ჯუმბერ მარდანი...
— უუუუნა ხელმძღვანელს ვუთხრათ.
— არა, ნანა ხელმძღვანელს.

ვერ რიგდებოდა და-ძმა. ბოლოს როგორც იქნა, გადაწყვიტეს. და მეორე დღეს, დილით, პიონერთა ოთახის კარი შეაღეს.

...ახლა მალე, სულ მალე, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სცენაზე ვინილავთ ჯუმბერს. იგი გაზაფხულის მოსვლას გვაუწყებს და ჯერ კიდევ ნედლი ხმა არ შედრკება, ზევით, ზევით გაზაფხულის ცისფერი გუმბათისაკენ ამალდდება იგი და იქიდან გადმოსძახებს ცაფირუზს, ხმელეთ-ზურმუხტ ქვეყანას.

იქნებ თქვენც გვეწვიოთ ამ კონცერტზე? რომოცდამეთხუთმეტე სკოლის თემურელები რომ მოვლენ, ეს კი ნამდვილად ვიციოთ. ამაყად გადახედავენ ერთმანეთს, აულიტორიას, და სცენაზე გაზაფხულად ქცეულ ჯუმბერს ტაშის ქარს შეაყრიან.

მეგობრობის წერილი

მოხუცმა ფოსტალიონმა გაუბედავად შეადო სკოლის კარები. შეჩერდა, ყური მიუგდო. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

„ოჰო, მგონი გადავრჩი! — გაეხარდა ფოსტალიონს. შუბლზე აწეული სათვალე თვალებზე მოირგო და თამამად აჰყვა კიბეს. — რა კარგია, რომ შესვენება არ არის, თორემ ხომ ვერ დავალწევი თავს, ვინ გაუძლებდა მათ შეკითხვებს! არა, მაინც რა ხშირად ლეზულობენ წერილებს საზღვარგარეთიდან, უთუოდ ბევრი მეგობარი ჰყავთ იქ. — ფიქრობდა მოხუცი. აი, ათავა კიბე, ფოსტალიონს უუუუნა ხელმძღვანელი მიეგება. დამტარებელმა ზურგჩანთა მაგიდაზე ჩამოღო და სკოლის მისამართზე გამოგზავნილი წერილები ამოალაგა:

— ეს ჩეხოსლოვაკიდან, ეს უკრაინიდან, ეს კი — ჩინეთიდან. — თქვა მან და ალბომი „ჩინეთის ბავშვები“ ფრთხილად დაღო მაგიდაზე.

— როგორ გაეხარდებათ ბავშვებს! — თქვა ყუყუნა ხელმძღვანელმა, — ისინი დიდი ხანია ელოდებიან ჩეხოსლოვაკელ მეგობართა პასუხს...

ზარი დაირეკა. მოსწავლეთა ყვილ-ხივილმა აახმაურა დერეფნები. ფოსტალიონი წასასვლელად მოემზადა, მაგრამ უკვე გვიან იყო... წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები პიონერთა ოთახს მიაწყდნენ... — ბიჭოს! ფოსტალიონი მოსულა! — იხუვლეს ბავშვებმა და გახარებულნი რკალად შემოერტყნენ მოხუცს; სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები:

— რა მოგვიტანე?

— ვისგან არის?...

— ვის სახელზეა?...

მოხუცმა ფოსტალიონმა სიყვარულით გადახედა ბავშვებს. „ახლა კი გავები!“ — ფიფქრა მან. მაგრამ შემდეგ ხელმძღვანელზე მიუთითა: ყველაფერი იმას აქვსო...

წერილი ჩეხოსლოვაკიდან მეექვსე რაზმის სახელზე იყო. საზღვარგარეთელი მეგობრები გულითად მადლობას უძღვნიდნენ თავიანთ თანატოლებს წერილისა და საჩუქრებისათვის.

უკრაინიდან მოსულ ბარათს გარკვევით ეწერა კონვერტზე: მეოთხე კლასის მოსწავლეს, ნესტორ ჟღენტს.

მეგობართა წერილების კითხვას რომ მორჩნენ, შემდეგ ალბომი „ჩინეთის ბავშვები“ გადაფურცლეს. კითხვა მზია ციხისელმა დაიწყო...

...აგერ, ნორჩი ნატურალისტები თავიანთი სკოლის ნაკვეთზე პამიდორის უხვ მოსავალს იღებენ. იქვე სურათქვეშ პატარა მიწაწერია: „ქალაქ პეკინის...“

— მარინე! გია! მარლენ! — ზეღიზედ წამოიძახა მზიამ თავისი მეგობრების სახელები და მეტი სიხარულით ველარაფერი თქვა.

— რა იყო მზია, რა მოგივიდა? — ახლა გოცებულმა მეგობრებმა მიაძახეს.

— მაპატიეთ, მეტი სიხარული-საგან მომივიდა. — დაიმორცხვა მზიამ და ალბომი მარლენ თათუნაშვილს გადააწოდა.

— მზია, გია! — ახლა მარლენმა წამოიყვირა. — გესმით, პეკინის ორმოცდა... — ისე ხმამაღლა დაიწყო კითხვა, რომ ხმა ჩაუწყდა და გიღარ დაამთავრა. ალბომი გია სადათერაშვილმა გამოსტაცა და წყნარად წაიკითხა: „ქალაქ პეკინის ორმოცდამეთხუთმეტე სკოლის მოსწავლეები თავიანთი სკოლის ნაკვეთზე პამიდორის უხვ მოსავალს იღებენ“. — დაამთავრა გიამ და გოცებულმა თანატოლებს გადახედა... ვერაფერი ვერ გაიგო... ერთ ხანს გაოგებული იდგა. შემდეგ სახე დანდათან გაებაღრა და...

— მივხვდი, გავიგე! — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა გია. — კარგია, ყოჩაღ... ჩვენი სკოლაც ორმოცდამეთხუთმეტეა... იმათიც... წერილი გავუგზავნოთ... უუ-უუნა ხელმძღვანელო... რა მიხვედრილი ხარ, მზია.

გახარებულ ბავშვები ერთმანეთს აწყდებოდნენ... სიტყვა და საქმე ერთი იყო...

„ძვირფასო მეგობრებო, — წერდნენ თემურელები, — რამდენიმე საათის წინ მივიღეთ ალბომი — „ჩინეთის ბავშვები“ — წავიკითხეთ და გულდასმით გავეცანით ქას. გავიგეთ, რომ პეკინში არის სკოლა, რომელიც ჩვენი სკოლის მსგავსად ორმოცდამეთხუთმეტეა. ამ ამბავა ძალიან გავგახარა. გადავწყვიტეთ თქვენთან დამეგობრება და ამ მიზნით წერილსაც გიგზავნით...“ — და შემდეგ თემურელები თავიანთი საქმიანობის შესახებ სწერდნენ, თუ როგორ ეხმარებიან მოხუცებს შინ და გარეთ, სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს, როგორ იცავენ თავიანთ უბანში სისუფთავეს და ქუჩაში მოძრაობის წესებს. და ბოლოს სთხოვდნენ მათ მალე გამოგზავნონ პასუხი, დაწერილებით უამბონ თავიანთი სწავლისა და პიონერული მუშაობის შესახებ.

...სულ მალე პეკინის ორმოცდამეთხუთმეტე სკოლის მოსწავლეები ქართველ პიონერთა წერილს მიიღებენ...

...სულ მალე გამოგზავნიან ჩინელი მეგობრები პასუხს...

... სულ მალე გაიხარებენ მერვეკრამელები...



„ძვირფასო მეგობრებო, — წერდნენ თემურელები, — რამდენიმე საათის წინ მივიღეთ ალბომი — „ჩინეთის ბავშვები“, — გავეცანით მას და ახლა წერილს გიგზავნით.“

დ ლ ე ს კ ი ...

დღეს კი ყინავს, ზამთრის ნოტიო სუსხი ძველსა და რბილში ატანს, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის... პიონერთა ოთახში თბილა. საფესტივალოდ გამოზრდილი მტრედები ტკბილად დღუღუნებენ გალიაში. თქვენ, მტრედებო, არაფერი გაქვთ სადარდებელი. ახლა თეიურელს — მეხუთეკლასელ თამაზ ლატარიას ჰკითხეთ! ერთი ბეწოა, ერთი ციდა, წელან კარები რომ შენოლო, ძლივს გამოჩნდა, ეს კი რა დიდი დარდი შემოსწოლია გულზე:

„მოვლენ თუ არ მოვლენ, მოვლენ თუ არ მოვლენ?“ — ეკითხება თავის თავს. ვერ ისვენებს, ოთახში დაბორიალებს. ხან რაზნის კედლის გაზეთს მიაშტერდება ხან ნარცისის ქოთნებს დასტრიალებს. ერთი-ორჯერ ალბომი-ესტაფეტაც გადაფურცლა. მაგრამ გული მაინც გარეთ აქვს. დღეს ხომ თემურელთა მორიგი რეიდის დღეა. მაგრამ რომ ყინავს?! უამინდობის შეემინდათ! არა! თემურელებს რა შეამინებთ! მაგრამ, ხომ იცით, დედები გულჩვილი ხალხია საერთოდ: „არ გაცივდე, ანგინა არ დაგემართოს, პალტო შეიკარი...“


ნანა ხელმძღვანელი ჩუმად ადევნებს თვალს თამაზს. „მოვლენ, მოვლენ“, — ამშვიდებს გულში.

არა, მაინც რამდენჯერ შეიცვალა დღევანდელი ამინდი, დილით მზე იცინოდა, მერე ღრუბელი ჩამოწვა, ახლა კი ყინავს!

„მოვლენ თუ...“

მაგრამ ჩუ, ეს რა ხმებია? მობაკუნობენ პატარა ფეხები.

ისინი არიან, ისინი!



ნატურმორტი (ზეთი). ნ. ბედიასვილი, თბილისის 20-ე სკოლის მოსწავლე.

განთიადი აღაზანზე.

მტრედისფერმა გადაჭკრა
მოკამკამე ალაზანს,
ხოხბის ყივილს შრიალით
უპასუნეს ვერხვებმა.
იფრთხილეს კაკებმა
სოფლის ბოლოს, ქალასთან,
საძოვარზე ნახირი
გამოშალა მენრემაც.

შაშვმა დაიჭახჭახა
აფრენილმა ახოდან,
ცელქი სიო ნამიან
ჯეჯვოს ესაღბუნება,
ნისლი ქვემოთ მოცურავს
სურს იხილოს ახლოდან
თვალწარმტაცი მიდამო,
ალაზანის ბუნება.

გივი ზინკო,

თელავის რაიონის სოფელ ვანთის
საშუალო სკოლის მოსწავლე.

ხამირ მიწებზე მყოფ
კომკავშირელებს

როგორ შეგამკოთ ვაჟკაცნო,
რა სიტყვით უნდა გადილოთ!
ჰკითხეთ: რად მღერის ბულბული,
რად ქარვობს სხვენზე აკილო.

ჰკითხეთ: რა ჰანგზე დუდუნებს
მტკვარი, არაგვი, იორი,
რად მოიმღერის ხალისით
ფაფარაშლილი რიონი!

ჰკითხეთ: რა სიტყვებს ჩურჩულებს
ნარინჯიანი ბაღები,
რად ფრიალებენ ამაყად
ლღეს ჩვენს ბაირაღები!

მაშინ მიხვდებით, ამ ჩემს გულს
როგორ მოჰფინეთ სიამე,
ან რატომ არის ძვირფასნო,
ლექსით რომ შეგეხმიანეთ.

გიორგი ლაბაძე,

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როხის
საშუალო სკოლის მოსწავლე.

ჭირნახული

საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ ხორბლის მოყვანას, მაგრამ მაშინ, როცა ეს აბზავი მოხდა, ჭირნახულს როდი უწოდებდნენ ხორბალს.

ტკბილად ცხოვრობდნენ ქართლის ერთ პატარა სოფელში და-ძმა შალვა და ქეთევანი. შალვა მთელს კუთხეში განთქმული იყო ვაჟკაცობითა და შრომის სიყვარულით, ქეთევანი — სილამაზით და ოჯახის-ქალობით. მშვიდობის წლები იდგა, ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა. პური წლიდან წლამდე კარგი მოდიოდა, და სადაც პურია, იქ მხიარულებაც სად-გურობს.

მაგრამ დადგა მძიმე დრო ხალხისათვის. ვერ მოსცენეს საქართველოს დაუძინებელიმა მტრებმა, პურის მწიფობის დროს მოეჭრნენ ქვეყანას და ნამგლის ნაცვლად მასვილი ააღებინეს ხელში.

შშობელი მიწის ყოველ მტკაველს გამირულად იცავდნენ ქართველები, სისხლით რწყავდნენ მშობლიურ მთა-გორებს. შალვამ იარაღი აისხა და თავისი რაზმით შიშის ზარსა სცემდა მტერს. მაგრამ სამშობლოს გათავისუფლებას ვერ მოესწრო, გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ქეთევანმა შეიტყო ძმის სიკვდილი, მაგრამ სასოება არ დაუკარგავს. აისხა აბჯარი და ქართველ ქალებს უხმო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. — ომანთანად სჭექდა მისი ხმა, — გავწიოთ ბრძოლის ველზე! ან გამარჯვება, ან სიკვდილი ჩვენი ძმებისა და მვილების გვერდით!



„პეიჯაუი“ (აკვარელი). მოსწავლე ი. ბერულავა, პიონერთა სასახლის ხატვის კაბინეტი.

და განა იქნებოდა ადამიანი — ქალი თუ კაცი — მტერზე არ ამხედრებულიყო?! ქეთევანი მთავალითი განდა ქართველი ქალებისა.

ამასობაში იმძლავრა ქართველთა ლაშქარმა, მეზობელი კუთხეებიდან მაშველი რაზმები დაიძრნენ და მტერს ანგარიში წაუხდა. დამარცხებულმა დუმანმა დასტოვა საქართველოს მიწა-წყალი, მაგრამ წასვლისას უკანასკნელი შხამი ამოანთხია, მარბიელი რაზმები დაგზავნა და ცეცხლს მოსცა მარჩენალი ყანები...

გათავისუფლდა სამშობლო, მაგრამ ჩამოვარდა შიმშილობა, ხალხმა წამებით გააღწია გაზაფხულს. მობრძანდა იმედიანი გაზაფხულიც, მაგრამ გლეხკაცს თესლი არ გააჩნდა დასათესად.

საგონებელში ჩავარდა გმირი ხალხი. ხსნა არსაიდან იყო. მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა.

აღრე გაზაფხულზე ქეთევანის კარ-მიღამოზე მწვანედ იფეთქა ჯეჯილმა. გმირი ხალხის ხელით მოყვანილმა ყანამაც გაუძლო ჭირს, მტრის ცეცხლსა და მახვილს. იმძლავრეს ყანებმა და მალე მიყოლებით გადაამწვანეს საქართველოს გელ-მინდვრები.

იმ დღეს ქეთევანი აღტაცებული გაჰყურებდა მწვანე ჯეჯილს. — „ნამდვილი ჭირნახული ხარ!“ — აღმოხდა ფიქრში წასულს.

მისი სიტყვები საქართველოს მთებმა გაიმეორეს და კიდითიდე მოჰფინეს ქვეყანას. ამის შემდეგ ქართველმა ხალხმა საქართველოს გელებს დამამწვინებელ მოსავალს ჭირნახული უწოდა.

ოთარ მელაძე,
ლამისყანის საშუალო სკოლის მოსწავლე



ფულობანა



მოდით, ვნახოთ როსტომი,
მოდით, ვნახოთ სულხანი,
იქნებ რამე აწუხებთ,
იქნებ რამე უხარით.
აუკრძალეს „ვაუკაცებს“
ფულობანას თამაში.
ფულობანა? — გაჰკვირდნენ, —
რაა ცუდი ამაში?!

ფულობანას თამაშით
დაჰყლეტილი ფულები,
რომლებზედაც წარწერაც
აღარა ჩანს სრულებით,
ყველა ჩვენგანს ხურღაში
შეგვხვედრია რამდენი.
სულხანი და როსტომი
გახლავთ ამის ჩამდენი.
ფულობანას არასდროს
ითამაშებს ჭკვიანი,
ვის არ დაგვჭირვებია
თხუთმეტკაპიკიანი.
მიაწოდებ — ავტომატს
არ სურს მისი აღება,
ჭრილში გაიხიბრება,
დაგემჩნევა დაღვრემა.
ველარ ესაუბრები
მეგობარს და ნათესავს...
ფულობანას თამაშმა
ეს სიკეთე დათესა.

ზაპარიკა შერაზალიშვილი



მ ა მ ა ც ი პ ი ო ნ ე რ ე ბ ი

ნ ა რ კ ვ ე მ ი

1

რეზო კობლაძე, გურამ პატარაია და ჰაიდარ ცენტე-
რაძე ბათუმის გარეუბანში ცხოვრობენ. მეგობრები
ყოველ დღით ქარხნის საყვირის ხმაზე ლოგინიდან
წამოხტებიან ხოლმე და მათი დღის რეჟიმიც ასე
იწყება: საუზმე, გაკვეთილების გამეორება, თავისუ-
ფალი დრო, სკოლაში წასვლა... პატარები ახლოს
ცხოვრობენ ერთმანეთთან და ხან ერთი შესძახებს
ხოლმე მეგობრებს, ხან მეორე.

ერთ დღეს რეზომ გაკვეთილები დაამზადა თუ არა,
თავის მეგობრებთან გურამთან და ჰაიდართან გასწია.

— გურამ, ჰაიდარ...
მათ არ დაყოვნეს და ფანჯრებიდან თავები
გამოჰყვებს.

— მოვდივართ, მოვდივართ, — და ბიჭუნები უმალ
მასთან გაჩნდნენ.

— გაკვეთილები დაამზადე? — იკითხა გურამმა.

— დავამზადე, როგორ არა, მაგრამ ეს მათემატიკა,
შენი არ იყოს, ძალიან მიჭირებს საქმეს, — ნაღვლიანად
ჩაილაპარაკა რეზომ.

— მეც ეგ სენი მჭირს, — ჩაერია ლაპარაკში ჰაიდარი.

— არაფერია, ჩვენ წინათ უფრო გვიჭირდა, ახლა
კი, რაც დალი სურმანიძესთან დავდივართ ხოლმე და-
ხმარებისათვის, ჩვენი საქმე უკეთ მიდის, — თქვა რე-
ზომ და თან დაუმატა: — ბიჭებო ახლა ზღვის პირზე გა-
ვიაროთ, შევხედოთ ჩვენს მეთევზეებს, რა ხანია თევზ-
ჭერაა გამართული. იქიდან კი დალისთან წავიდეთ, ის
დღეს გველოდება. გუშინ, გაკვეთილების შემდეგ
სახლში რომ მოვდიოდით, მითხრა, ხვალ გამოიარეთ,
ცოტას წაგეხმარებით ამოცანების ამოხსნაშიო.

მეგობრები ზღვის ნაპირსაკენ გაემართნენ, ლაპა-
რაკში გართულები გზატკეცილს დაადგნენ. ჰაიდარს
განთქმული საბჭოთა მესაზღვრის კარაცუბას შესახებ
დაწერილი ნარკვევი წაეკითხა ამას წინათ და ახლა თა-
ნატოლებს მოუთხრობდა. ამასობაში გურამმა შენიშნა:

— ბიჭებო, აი, ჩვენ რომ საექვო პირი, ან საზღვრის
დამრღვევი შეგვხვედროდა, რას იზამდით?!

— რას ვიზამდით და... — არ დაამთავრა სათქმელი
რეზომ, — მოიცა... აი, იქ ზღვის პირას ნეტავ ვინ ჩა-
მომგდარა, ან რას აკეთებს, — მიმართა ბიჭებს.

— ნეტავი შენ, ვინ უნდა იყოს! ვერა ხედავ ჩამომ-
გდარა თავისთვის და საქმელს შეექცევა! — შეეპასუხა
ჰაიდარი. — თუმცა, მოიცა, დაგვინახა თუ არა, გა-
ზეთის კითხვა დაიწყო, ხედავთ, ზურგიც შეგვაქცია!

— არა, ამ ღრუბლიან ამინდში შავი სათვალეებიც
რომ გაუკეთებია! აქ რაღაც საექვო ამბავია, ჩვენს
უბანში თითქმის ყველას ვიცნობ, ეს კაცი კი აქ პირ-
ველადაა, — თქვა რეზომ.

— ვინ უნდა იყოს, ჩვეულებრივი ადამიანია, — შეე-
კამათა რეზოს გურამი.


ამასობაში ზღვის ნაპირზე მჯდარ კაცს მიუახლოვ-
დნენ. უცნობმა ერთი კი რაღაც უცნაურად გადახედა
ბიჭუნებს და ბილიკით გზატკეცილისაკენ გაემართა,
გავიდა გზაზე, უკან მოიხედა და მახინჯაურისაკენ აი-
ღო გეზი. მეგობრები მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ, უცნობ-
მა ფეხს აუჩქარა, გზად წამოწეულ ავტობუსში ჩაჯდა
და გაუჩინარდა.

სახტად დარჩენილი მეგობრები ერთმანეთს გაკვირ-
ვებით შესცქეროდნენ. სიჩუმე გურამ-
მა დაარღვია:

— ვინ უნდა ყოფილიყო, მოვეშვათ,
განა ცოტაა ქვეყანაზე უცნაური კაცი?

რეზო კი ფიქრობდა: „არა, ამ ამბავ-
ში რაღაც საიდუმლოებაა. ნეტავ ასე
სულელურად როგორ გავუშვით. ახლა
ვინ იცის სად ჩამოვა და სად წავა“.
ბიჭუნებმა გეზი კვლავ მეთევზეებისა-
კენ აიღეს. იქ ბევრი იმხიარულეს,
ახალდაჭერილ თევზებსაც მოავლეს ხე-
ლი. მაგრამ რეზო მაინც ჩაფიქრებული
იყო და ხანდახან თუ გამოერკვეოდა
ფიქრებიდან. რატომღაც სულ ის უც-
ნობი აგონდებოდა. მეგობრებს შეაგვი-
ანდათ. დალისთან გავლა ველარ მოას-
წრეს. სკოლაში მეგობრებს დალი გა-
ნაწყენებული დახვდა:

— რეზო, გურამ... გაგონილა ასე,
რატომ არ მოხვედით?! იქნება გგონიათ
მათემატიკის შესწავლაში ცეკვაში მიღ-
წეული წარმატება დაგეხმარება!



ალკე ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი მამაციებს კომკავშირში
მიიღებას ულოცავს.

ბიჭებმა ცოტა არ იყოს დალის კუშტად გადახედეს, მაგრამ მეგობრებმა კარგად იცოდნენ, რომ დალი მართალი იყო. რეზომ არ დააყოვნა და დალის უთხრა:

— პიონერულ სიტყვას გაძღვეთ, ხვალ უეჭველად მოვალთ და კარგადაც ვიმეცადინებთ, — თან გაიფიქრა: „რა სამართალია! დალის ჩვენ უნდა ვეხვეწებოდეთ და გვეხმარეო და პირიქით კი ხდება...“

გაკვეთილები დაიწყო, ბიჭუნებს კი თავში დილით მომხდარი ამბავი უტრიალებდათ. „ნეტა ვინ იყო ის კაცი, — ფიქრობდა რეზო, — კიდევ კარგი, რომ სკოლაში არავის, დალისაც კი არაფერი ვუთხარით, თორემ ვინ იცის როგორ დაგვცინებდნენ.“ ამ დღეს გაკვეთილებიც თითქოს გაგრძელდა, მეგობრები მერხზე მოუსვენრად ისხდნენ. როგორც იქნა, უკანასკნელი გაკვეთილის გამოსვლის წარმაც დაიწყო და მეგობრები საბლისაკენ გაეშურნენ. ჰაიდარი უფრო ადრე წასულიყო, იგი მომდევნო კლასში სწავლობს და ამ დღეს გაკვეთილები ჩვეულებრივზე ადრე უთავდებოდა.

— გურამ! — წამოიწყო რეზომ, — იცი რა გითხრა, მოდი ნურავის ვეტყვი რაც თავს გადაგვხდა.

— კარგი, რეზო, — უპასუხა გურამმა, — მაგრამ ხვალ არ დაგავიწყდეს, გამომიარე, დალისთან შევიარო.

მეგობრები ერთმანეთს გზავჯარედინზე გაშორდნენ და სახლებს მიაშურეს.

2

იმ ღამეს რეზოს ძილი გაუფრთხა, სულ ის შავსათვალეობიანი უცნობი ელანდებოდა. როგორც იქნა გათენდა. მოამზადა გაკვეთილები და ის იყო გურამთან გავლას აპირებდა, რომ დედამ მაღაზიაში რალაცის ყიდვა დაავალა. გზად ჰაიდარი შემოსვდა და ორიგინი ერთად გაუდგნენ გზას. მაღაზიას უახლოვდებოდნენ, როცა რეზო უცბათ შედგა და მაღაზიასთან მდგომ შავსათვალეობიან კაცს დააშტერდა. „ის კაცი“ — გაუიღვა რეზოს. — ჰაიდარ, სწრაფად, ფრენა რომ დაგჭირდეს, გაფრინდი, გურამი მოიყვანე და...

— რა დაგეცა თავს, რა მოგივიდა, როგორ უნდა გავფრინდი? — მშვილად შეეპასუხა ჰაიდარი.

— ჩქარა, ბიჭო, „ის კაცი“, მე ვუთვალთვალე...

ჰაიდარი როგორც იქნა მიხვდა რაშიც იყო საქმე და სირბილით გურამის სახლისაკენ გაექანა. რეზო კი ამასობაში მაღაზიასთან მდგომ უცნობს უთვალთვალეობდა. უცნობი ერთ ხანს მაღაზიასთან იდგა, შემდეგ სასადილოს მიაშურა. „აჰა, საუშუმობს... აქ დაველოდები, მანამ ბიჭებიც მომისწრებენ“, — გაიფიქრა რეზომ. ჩქარა ბიჭებიც გამოჩნდნენ. რეზომ მათ სასადილოსაკენ ანიშნა თვალით, — ვნახოთ შემდეგ რა მოხდება, — თქვა მან. ცოტა ხნის შემდეგ უცნობიც გამოვიდა, შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და ქარხნის გალავნისაკენ გაემართა. უცნობი ქარხნას გარს უვლიდა, ათვალეობდა ქარხნის მიდამოებს, შესასვლელსაც მიადგა, მაგრამ მაშინვე პირი იბრუნა და კვლავ ქარხნის გალავანს გაჰყვა. მეგობრები ლანდებივით მისდევდნენ უცნობს.

— ნეტავ რას დახეტილობს, რა აინტერესებს? მოდი, პირისპირ მივიდეთ და ვკითხოთ რა უნდა აქ! — თქვა რეზომ და არ დააყოვნა:

— ძია, რატომ უვლით ქარხნას გარშემო, ვინმეს ხომ არ ეძებთ?!

უცნობი უეცარი შეკითხვისაგან ცოტა არ იყოს დაიბნა, მაგრამ ჩქარა გამოერკვა და ბიჭუნებს შეეპასუხა:



უცნობმა რალაც უცნურად გადახედა ბიჭუნებს...

— ვის უნდა ვეძებდე! ქარხანაში მინდა მუშაობა და ვიწყო... ჯერ არ გადამიწყვეტია. თუმცა ჩემი ამბისა თქვენ რა გესაქმებათ... აბა, გასწით აქედან! — უცნობმა სიტყვა აღარ დაამთავრა, ქარხნას მაშინვე ზურგი შეაქცია და ჩქარი ნაბიჯით შარაგზაზე გავიდა — მიმართულება ბარცხანისაკენ აიღო.

უცნობის ასეთმა ქცევამ მეგობრები უკვე ღრმად დააეჭვა. „ამ კაცს რალაც შავსათვალეობი ზრახვები ამოქმედებს“, — გაიფიქრა გურამმა.

ბიჭებმა მტკიცედ გადაწყვიტეს უცნობს არამც და არამც არ ჩამორჩენოდნენ, ბოლომდე ეთვალთვალათ მისთვის. უცნობი კი ამასობაში შარაგზიდან გზატკეცილზე გავიდა, ერთი კი მოიხედა უკან, მაგრამ ადევნებელი ბიჭები ვეღარ დაინახა. მეგობრებმა კი მისი ეს მოძრაობა კარგად შეამჩნიეს. ისინი რკინიგზის მიწაყრილს ამოფარებულები უთვალთვალდნენ მას. უცნობმა ნაბიჯს უმატა. იგი გრძნობდა, რომ უთვალთვალდნენ, და მოსახვევში ყოველ შემთხვევისათვის უკან იხედებოდა. მეგობრების გამჭირავს თვალებს კი უცნობის ეს სიფრთხილე არ ეპარებოდა. ჩქარა ბაზარიც გამოჩნდა, უცნობმა ბაზრის მთავარი შესასვლელისაკენ აიღო გეზი და უცბათ გაუჩინარდა.

— ბიჭებო, ამ ბაზარს კიდევ ორი შესასვლელი აქვს. ჰაიდარ, შენ მარცხენა შესასვლელში დაელოდები, გურამ, შენ — მარჯვენაში, მე კი მთავარი შესასვლელიდან ავადევნები. აბა, სწრაფად! — თქვა რეზომ და მაშინვე ბაზარში შევარდა. იქ კვლავ მოჰკრა თვალი უცნობს, რომელიც ბაზრის სასადილოში შედიოდა. რეზო სასადი-



ლოს კარებთან დაუდარაჯდა. უცნაურად სასადილოდან გამოსულ უცნობს შეეფეთა. უცნობი შეკრთა, მაგრამ რეზოს მაშინვე მიახალა:

— რას ამეკვიატე, ბიჭო, ჯაშუში ხომ არა გგონივარ?!
— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებთ, — დაიბნა რეზო. — არა, მე ისე... — და ბაზრის მარჯვენა გასასვლელისაკენ წასულ უცნობს აედევნა. რეზოსაც ეს უნდოდა, იქ ხომ გურამი ელოდებოდა. გურამმა როგორც კი უცნობსა და რეზოს მოჰკრა თვალი, მაშინვე ჰაიღარი მოძებნა და უთხრა: „ჩქარა! ან მილიციელი, ან ვინმე სამხედრო მოძებნე, ამ კაცს ან ახლა დავიჭერთ, ან არა და კიდევ გაგვეპარება“. შემდეგ კი რეზოსა და უცნობს ფეხდაფეხ აედევნა. რეზო უცნობს გვერდით მისდევდა. გურამმა ყური მოჰკრა რეზოს სიტყვებს: „ბიძია, თუ ჯაშუში არა ხარ, აბა მილიციაში წამოგვყევი“. უცნობმა ჩაიციინა და თქვა:

— რა გაეწყობა, წამიყვანეთ მილიციაში.
— კი მაგრამ. ჩვენ რომ ქალაქის ამ უბანს კარგად არ ვიცნობთ და მილიცია არ ვიცით სად არის?
— მე ვიცი, წამომყევით, — ეშმაკურად ჩაილაპარაკა უცნობმა.
მაგრამ უკვე გვიან იყო, იგი თავს ველარ დაიძვრენდა.

თავზე მას ჰაიღარის მიერ მოყვანილი ლეიტენანტი წა-
მოადგა.

— აი, ეს კაცია. ესენი კი ჩემი ამხანაგებია, — მიმართა ლეიტენანტს ჰაიღარმა.

ლეიტენანტმა უცნობს საბუთები გაუსინჯა და თხოვა თან წაჰყოლოდა. ბიჭუნებიც თან გაიყოლია. რომელიღაც შენობას მიადგნენ და შევიდნენ. იქ ერთი სამხედრო დანვდათ. მან პატარა მეგობრები ღიმილით შეათვალიერა, შემდეგ დაჰკითხა. მეგობრებმაც ყველაფერი დაწვრილებით უამბეს.

— ბიჭუნებო, ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, მერე კი ვნახთ... შეგატყობინებთ ყველაფერს, — აღერსიანად მიმართა მან სამ მეგობარს და ეშმაკურად მოჰუტა თვალი. ოღონდ ცუდი ისაა, რომ სკოლაში შეგაგვიანდათ! — მან ზარი დარეკა. ოთახში მდივანი შემოვიდა.

ჩემს მანქანას გამოუძახეთ და ეს პატარა კარაცუბები სკოლაში წაიყვანეთ.

ბიჭები სკოლაში „პობედით“ მიგრიადდნენ.

3


ბათუმის 21-ე სკოლაში რაწმეულის შეკრება მიმდინარეობდა. შეკრებას პატარების ნაცნობი სამხედრო პირიც ესწრებოდა. მან ხომ სკოლაში დაგვიანებული მამაკები მანქანით გამოგზავნა იმ დღეს. სწორედ იმ დაბაკიმრბული უცნობის შესახებ მოუთხრობდა რაწმეულს შეკრებაში მოსული სამხედრო სტუმარი.

— „პიონერებო! — ჰყვებოდა სტუმარი. — როგორც შემდეგ გამოირკვა, თქვენმა თანატოლებმა — რეზომ, გურამმა და ჰაიღარმა — დიდი საქმი გააკეთეს. მათ ჩიგნი ქვეყნისადმი მჭრული ზრახვებით გამსჯალოული პირი დააგვიჩინა. ამ პატარა ბიჭუნების გამჭრიახობისა და მამაცობის შიდაგაო ჩიგნს ქვეყნის კიდევ ერთი მჭერი მოაქვდა. ნება მომიკით თქვენს ღირსიულო ამხანაგებს საჩუქრები გადაეცემა, — დაამთავრა სამხედრომ და გურამს შარკიორბლატიანი საათი გადასცა. საათზე წარწერა კიფობდა: „პიონერ გურამ პატარაის, გამბედაობისა და სიფხიზლის გამოჩინისათვის“... ამგვარივე წარწერები ჰქონდა რეზოსა და ჰაიღარის საათებსაც.

რაწმეულის საბჭომ მამაც პიონერებს კომკავშირში შესაოლის რეკომინდაციები მისცა.

მეგობრების სიხარულისა და სიამაყის გრძნობას საზღვარი არა აქვს. მათ ხომ თავიანთი სიმამაცით ლენინურ კომკავშირში შესაოლის უფლება მოიპოვეს. სანატრელი დღეც დადგა. მამაცები ბათუმის საქალაქო კომიტეტში გამოიძახეს. საქალაქო კომიტეტის მდივანი პატარებს კომკავშირში მიღებას უფლოცავს. მეგობრები ახლად მიღებულ წითელყდიან კომკავშირულ ბილეთებს გულისჯიბეში სათუთად ინახავენ. „სამშობლოს ერთგული და მოწინავე შვილები ვიქნებით, ამას ხომ კომკავშირის ბილეთი უფრო მეტად გვავალებს!“ — აცხადებენ მამაცი მოსწავლეები.

ჯიხშირ ენშიძე.



ს ი ტ ყ ვ ი ს მ ა ტ ი ა ნ ე

კ ა ვ ი ლ ი ო ნ ი

რომის არმია ლაშქრობის დროს, როგორც წესი, ქალაქებსა და სოფლებში არ ათევდა ღამეს. სადაც არ უნდა შეჩერებულიყო ლაშქარი, იქვე ბანაკში მოაწყობდნენ და მიწაყრილით შემოიფარგლებოდნენ. ასეთ დროებით ბანაკებში ცხადია არ მოხერხდებოდა ხის ან ქვის თავშესაფრის აგება, ამიტომ, არმიას, ტყავის, მსუბუქი, ადვილად გადასატანი კარავები დაჰქონდა თან. ამ ტყავის კარავებს რომაელმა ჯარისკაცებმა პეპლები — რომაულად „პაპილიოსი“ შეარქვეს.

მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში რომაელებმა მრავალი სიახლე შეიტანეს. ტყავის კარავები, მაგალითად, ფრანგებმა გადაიღეს და სახელიც თავისებურად შეუცვალეს. შემდეგ ეს შეცვლილი სახელი „პავილიონი“ — ყოველგვარ ადვილად ასაგებ, დროებით ადგილსამყოფელ ნაგებობას დაერქვა. ფრანგულიდან ეს სიტყვა სხვა ენებში, მათ შორის რუსულსა და ქართულში გავრცელდა.



გ ი ტ ა რ ა

გავრცელებულია აზრი, თითქოს თანამედროვე გიტარის წინაპარი ძველბერძნული საკრავი — კიფარა იყოს.

გიტარა შუა საუკუნეებში ესპანეთში გამოჩნდა, იქიდან თანდათან აღმოსავლეთისაკენ გავრცელდა და იტალიის გზით რუსეთში მიადგინა. შემდეგ გიტარა კავკასიასა და შუა აზიაში გავრცელდა. მაგრამ, როგორც დღეს ირკვევა, კავკასიასა და შუა აზიაში ადრევე არსებულია მუსიკალური საკრავები, რომელთა სახელები ძალზე გავს სიტყვა „გიტარას“. თარ, თარა, — აზერბაიჯანულში; თარი, — ქართულში; დუტარი, — შუა აზიის ენებში. თარი, დუტარი და გიტარა მართლაც ნათესავეები არიან, ხოლო გიტარის ნამდვილი, დღეს დაფიქსებული საშობლო აღმოსავლეთია. „თარი“ — სპარსულად „სიმს“ ნიშნავს. ხოლო სიტყვა თარის წინდებულები ოდესღაც სიმთა რიცხვს გამოხატავდა, მაგალითად: „დუ“ ნიშნავდა ორს, „სი“ — სამს. ასე რომ, „სიტარა“ სამსიმიანს ნიშნავს. ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე, გიტარა აღმოსავლეთიდან საბერძნეთში მოხვედრილა. იქ, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაიფიქსეს, რომ „სიტარა“ სამსიმიან საკრავს ნიშნავდა, და ასეთი სახის ოთხ და მრავალსიმიან სხვა საკრავებსაც „სიტარა“, შემდეგ კი „გიტარა“ შეარქვეს.




მ უ ზ ე უ მ ი

მრავალი ასეული წლის განმავლობაში ქალაქი ალექსანდრია ძველი სამყაროს კულტურული და სავაჭრო ცენტრი იყო. იგი ალექსანდრე მაკედონელმა ააგო მდინარე ნილოსის შესართავში, სადაც თავს იყრიდა ევროპის, აზიისა და აფრიკის სავაჭრო გზები. ალექსანდრიაში ჯერ კიდევ ადრე არსებობდა ბიბლიოთეკა, რომელშიაც თითქმის 700 ათასი ხელნაწერი გრაგნილი ინახებოდა. დაახლოებით 2200 წლის წინათ ეგვიპტის მეფეებს ალექსანდრიაში „მუზეონი“ — „მუზეების ტაძარი“ — მუზეუმი დაუარსებიათ. მისი პირვანდელი დანიშნულება ცხადია ისეთი არ იყო, როგორც დღეს აქვთ მუზეუმებს, მაგრამ დროთა განმავლობაში იქ თავი მოუყარა უამრავ იშვიათ ნივთს, ხელნაწერს, იარაღს იმდროინდელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ამ მუზეუმის კედლებში მუშაობდნენ გამოჩენილი ასტრონომები, მათემატიკოსები, გეოგრაფები, ფილოსოფოსები, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ანტიკური მეცნიერების განვითარებაზე.

საუკუნეების წინათ ალექსანდრიაში არსებული ამ თავისებური სამეცნიერო კერის სახელს — მუზეუმს — დღეს ვუწოდებთ ყველა იმ დაწესებულებას, სადაც ისტორიული, ლიტერატურული, ან სხვა სამეცნიერო კოლექციები ინახება და კვლევითი თუ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სწარმოებს.





მ ო გ ზ ა უ რ თ ა ხ მ

მადაგასკარის მცენარეთა სამყაროს შე-
მადგენლობაში ვხვდებით ევრეთ წოდებულ
მოგზაურთა ხეს. ასეთი სახელწოდება მან
თავისი ორიგინალური თვისების გამო მიი-
ღო. ეს ხისმაგვარი მცენარე, ერთი შეხედ-
ვით ვეება მარაოს ჰგავს, მის ფოთლებში
დიდი რაოდენობით გროვდება წყალი, რო-
მელიც თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ
მოგზაურებმა. მადაგასკარის მკვიდრნი ამ
ხის ნაყოფით იკვებებიან. ფოთლის ღერო-
ებს საღმშენებლო მასალად იყენებენ, ხო-
ლო თავი ფოთლებს სახურავისათვის ხმა-
რობენ.

ტ ა ტ უ ი რ ი ბ ა

ცხელ ქვეყნებში, სადაც ადამიანი თითქ-
მის შიშველი დადის, მიმართავდნენ ტატუ-
ირებას — კანქვეშ ლითონის ან ხის ბასრი,
წვეტიანი იარაღით სხვადასხვა ფერის სა-
ღებავის შეყვანას და გარკვეული ნახატების
გამოყვანას. ტატუირების გავრცელებამდე
ცხელი ქვეყნების მკვიდრნი ტანს ჭრილო-
ბებით იფარავდნენ. მორთულობის ეს სა-
ხეობანი წმინდა რელიგიური, მაგიურ ხა-
სიათს ატარებდნენ. ტატუირებამ დღემდე
მოატანა და ახლა კულტურის დაბალ დო-
ნეზე მდგომ (პოლინეზიელები, მილანეზიე-
ლები და სხვა) ხალხებს შორის ვხვდებით.
ტანის ჭრილობებით დაფარვა გავრცელებ-
ული იყო პალეოლითის ხანის ევროპაში
და დღესდღეობით ავსტრალიელებში შემო-
ინახეს.



ტატუირება, როგორც გადმონაშთი, ქა-
ლაქის, მოსახლეობის დაბალი კულტურის
მქონე წრეში გვხვდება.

ა ვ რ ი კ უ ლ ი ლ ო რ ი

ცენტრალური აფრიკის ტყეებში გავრცე-
ლებულ ველურ ცხოველებს შორის გვხვდე-

ბა მეტად უცნაური გარეგნობის ღორის
ჯიში. ვეებერთელა ეშვები, დინგზე გამოშ-
ვერილი დიდი მექექები და გამონაზარდები,
წვრილი თვალები, პატარა ყურები და სქე-
ლი ჯაგარი, რომელიც მუცლამდე აღწევს,
ამ ცხოველს მეტად უსიამო შეხედულებას
აძლევს. ეს მეტად საზარელი და მოუქნელი
ცხოველი ძუძუმწოვართა ოჯახს ეკუთვ-
ნის. სიგრძით ორ მეტრს აღწევს. იკვებება
მხოლოდ მცენარეულობით. მისი ხორცი
გემრიელია და ძვირად ფასობს.



გ ო ლ ი ა თ ე ბ ი და ჯ უ ჯ ა მ ი

ოციოდე წლის წინ, დასავლეთ ევროპის
გაზეთებში, დიდი აურზაურით იუწყებოდნენ
განთქმული ფინელი გოლიათის ვეინე მი-
ლარინეს ავსტრიაში ჩასვლას. ვეინე მილი-
რინე ტურნეს ატარებდა ევროპაში და ყვე-
ლას ანცვიფრებდა თავისი სიდიდით და
ზღაპრული მადით. მაშინ იგი 23 წლისა
იყო, სიმაღლით 248 სანტიმეტრი, წონით
175 კილოგრამამდე აღწევდა და 58-ჯომის
ფეხსაცმელს ატარებდა.

მილარინე სრულიადაც არ იყო ყველაზე
დიდი ადამიანი. ჩვენი თანამედროვე, ამე-
რიკელი რობერტ ვოლდოუ სიმაღლით
270-სანტიმეტრს აკარებდა. მაგრამ სი-
მაღლის ყველა რეკორდი თურქმა კაიანუსმა
დაამყარა: ეს გიგანტი სიმაღლით 283 სან-
ტიმეტრი იყო.

ქალეში ყველაზე დიდი ტანის, გერმანე-
ლი, ვინმე მარიანა ველდე ითვლება, სი-
მაღლით 265 სანტიმეტრი, იგი 350 კილო-



გრამს იწონიდა.
როგორია ყველაზე დაბალი ადამიანის
სიმაღლე? ფრანგმა მეცნიერმა ბიუფონმა
შეისწავლა ერთი 37 წლის ჯუჯა, „ადამი-
ანი, რომელიც შეიძლება ჯიბით ატარო“ —
ასე ამბობდნენ მასზე გაზეთები, რადგან
ჯუჯა სიმაღლით მხოლოდ 42 სანტიმეტრი
იყო. მეცნიერებამ კიდევ რამდენიმე ჯუჯა
ადამიანი იცის, მათი სიმაღლე 45,66 და
99 სანტიმეტრს უდრიდა. ასე რომ, ყველაზე
მაღალ და ყველაზე დაბალ ადამიანს შო-
რის განსხვავება ძალზე დიდია — ბიუფო-
ნის ჯუჯა თითქმის შეიდეჯერ პატარა იყო
კაიანუსთან შედარებით.

დედამიწის ზურგზე ყველაზე მაღალ
ხალხად პატაგონელები ითვლებიან. ამერი-
კაში მოხვედრილ, პირველ ევროპელებს
ისინი გიგანტები ეგონათ. ამბობენ, რომ მა-
გელანის მეზღვაურები პატაგონელებს წე-
ლამდეც კი ვერ სწვდებოდნენო.

ცეცხლოვანი მიწის მკვიდრნი მართლაც
გამორჩევიან დიდი სიმაღლით. ბევრი მათ-
განი 193 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო საშუ-
ალო სიმაღლე 175 სანტიმეტრს უდრის.
ცეცხლოვანი მიწის მცხოვრებო, სიმაღლით
მიკვებიან სკანდინავიელები, სუდანის ზან-
გები, პოლინეზიელები და ინგლისელები
(174 — სანტიმეტრი) რუსები და გერმანე-
ლები საშუალოდ 168 სანტიმეტრის სიმა-
ლისანი არიან.

ასე რომ, სხვადასხვა ეროვნებათა შორის
სიმაღლეში განსხვავება უმნიშვნელოა. ეს
გასაგებია, რადგან დედამიწაზე მცხოვრები
ყველა დღევანდელი ხალხები თუ ტომები
ერთი საერთო წინაპრიდან არიან წარმოშო-
ბილინი.

რ ე და ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი
ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

ფასი 2 მან.


„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 2 1957
Тбилиси, Пыханова. 91. მისამართი: თბილისი, პღეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უფ 01222, ტირაჟი 16.000 ხელმოწ. დასაბ. 1/III, სტამბის შეფ. № 146.


პ/კომბინატი „კომუნისტი“. გარეკანი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკაში.



ბასართობი



ქ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰორიზონტალურად: 3. ცხენის ჯოგი; 6. ტექნიკური კულტურა; 8. დეკაბრისტთა შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე; 10. ხილი; 11. მითიური პირველი ადამიანი დედამიწაზე; 12. თხელი, გამჭვირვალე; 15. სახელმწიფო აზიაში; 19. ქიმიური ელემენტი; 21. ხელოვნური აბრეშუმი; 22. ქალაქი გერმანიაში; 23. სვეტი, რომელსაც აღმართავენ ღირსშესანიშნავ ადგილზე; 25. დასახული მიზნის განხორციელებისათვის წაქეზება; 26. ოთახის ძაღლი; 27. სოფელი სურამის მახლობლად; 32. ცნობილი ფრანგი მხედართმთავარი; 34. საფინანსო-საბანკო დოკუმენტი; 35. საამუშენებლო მასალა; 36. ჭურჭლის კომპლექსი; 37. იტალიელი, მშვიდობის ლენინური პრემიის ლაურეატი; 38. ერთ-ერთი მატერიკი.

ვერტიკალურად: 1. გარეული ცხოველი; 2. დეჟესის გასამრჯელო; 4. სამხედრო შენაერთი; 5. დიდი რუსი კრიტიკოსი; 6. მდინარე საქართველოში; 7. სოფელი ქართლში; 9. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობათა ერთ-ერთი კრებული; 13. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 14. ძვირფასი ქვა; 16 სადღეღამისო საკვები ულუფა; 17. მინერალი; 18. ვაზის ჯიში; 20. ქალაქი ჩინეთში; 24. გამოჩენილი საბჭოთა მოჭადრაკე; 26. მცენარის ძირი; 28. მტაცებელი ცხოველი; 29. ქართული ოპერა; 30. წონის ინგლისური ერთეული; 31. ქიმიური ნაერთი; 33. მხარე სსრკ აღმოსავლეთ ნაწილში.

შეადგინა თერჯოლის საშუალო სკოლის.
მოსწავლე გივი რობაქიძემ

სახუმარო გამოცანა

ჩემს სახლს მანქანა ჩაურბენს
როდესაც დილა იალებს,
მიჰყვება შარას საურმეს,
მიჰჭრის, გრგვინავს და გრიალებს.

მძლოლთან მგზავრი ზის შავთვალა,
არც დიდი და არც ჩვილია,
გუშინ ასამდე დათვალა,
ამ მძლოლის ვაჟიშვილია.

მაგრამ ეს მძლოლი ვაჟისა
მამა არ არის;—ვიცანი.
რა არის მძლოლი მგზავრისა?
დაფიქრდი, გამოიცანი.

ვაჟა ყუბუხიძე

დაყოფის საშუალებით

მოცემული წრე საკიროა დაიყოს ტოლ სექტორებად. როცა თქვენ ამას გააკეთებთ, მაშინ წაიკითხავთ დიდი რუსი სწავლულის გვარს და მისი დიდი გამოგონების სახელწოდებას.



8. გასპარინი

პ ა ს უ ხ ე ბ ი

შურნალ „პიონერის“ 1957 წლის
№ 1-ში მოთავსებულ გასპართობზე

პ ა ს უ ხ ი ა მ ო ც ა ნ ა ზ ე

გიას კალათში 721 ვაშლი ჰქონდა.
(2×3×4×5×6-1=721)

პასუხი გამოცანაზე—„წაიკითხეთ!“
მისისიპი

პასუხი კროსვორდზე:

ვერტიკალურად: 1. ფიზიკა; 2. უდაბნო; 4. იავა; 5. ფარი; 6. ბერიგე; 7. ამანათი; 9. რკო; 12. კოკორი; 14. ანტენა; 15. ელბა; 16. სურა.
ჰორიზონტალურად: 3. ლიმონი; 5. ფოლადი; 6. ბავარია; 8. აკრი; 10. კალო; 11. ოკა; 12. კინო; 13. ლამა; 17. იალბუზი; 18. პრიზმა; 19. ანგინა.

21/92

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



❁
 წარმტაცი, თოვლიანი ზამთარი გეკონდა წელს საქართველოში. განსაკუთრებით კარგი იყო იგი ბაკურიანში, სადაც ყოველ სპორტულ სეზონზე ათასობით მოთხილამურე და სპორტის მოყვარული იყრის თავს საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. და ყველაზე, ვინც თუნდაც ერთხელ იხილავს ბაკურიანს, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მისი დიდებული, თოვლიანი პეიზაჟები.

მხატვარმა ვერა ბელეცკაიამ წელს ლინოგრაფიურების მთელი სერია უძღვნა ბაკურიანს. აქ დაბეჭდილი მისი ნამუშევრები — „შეჯიბრებაზე“, „ეზოში“ და „სალამო ბაკურიანში“ — ამ სერიიდანაა აღებული.

